სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი შაბათი 7 ოქტომბერი 2006 №232 (2854) ფასი 50 თეთრი

Chemi khatia samshoblo,
Sąkhate mteli kveqąna,
Ganatebuli mta-bari
Tsilnaqaria Ghmerttana.

GEORGIEN ÜBER ALLES!

გერმანული სიშორეზი

AFP როიტერიდან

დადე თავი და საფრანგეთის ნახავ

ოღონდ: ეს არ იქნება ძილი, ეს იქნება ომი!

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

მორაგბეთა საგაისო მსოფლიო თასის შესარჩევი ჯგუფური ტურნირის პირველივე მატჩი მართლა ჯახი და ზათქია: საქართველო ბუქარესტში ეთამაშება მარადიულ მეტოქე რუმინეთს. ვინც დღეს გაიმარჯვებს, სუსტ ესპანეთს ხომ უპრობლემოდ მოუგებს და პირდაპირ გავა საფრანგეთში გასამართ მსოფლიო თასზე. წაგებულს კი რუსეთ — პორტუგალიას შორის უკეთესთან მოუწევს შინ და სტუმრად საქმის დაჭერა.

საქართველოს ნაკრები გუშინ დილით ჩაფრინდა ბუქარესტში და თან ვერ იახლა ძირითადი დამრტყმელი ძალა — პალიკო ჯიმშელაძე ტრავმირებულია. ტრავმირებულები არიან შერკინების „ტვინი“ აქვსენტი გიორგაძე და ბურჯი დავით ხინჩაგაშვილიც, ხოლო ლევან დათუნაშვილი და რევაზ გიგაური დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებენ.

არც რუმინეთია დალხენილი: კარპატელებს ბოლოს და ბოლოს ჩამოშორდათ ერთა თასის კვალობაზე უძლიერესი მე-9 ნომერი პეტრე მიტუ, რომელიც აქამდე სისხლს უშრობდა ჩვენებს. მისით რუმინეთმა ხუთიდან ხუთი თამაში მოუგო ქართველებს, მის გარეშე კი სამიდან ორჯერ ჩვენებმა იმარჯვეს.

„ტრავმების გამო რამდენიმე საკვანძო მოთამაშე არ გვეყოლება, მაგრამ ბიჭები იმედიანად არიან და ხვალვე აპირებენ მსოფლიო თასის საგზურის განაღდებას. ძალიან მაგარი თამაში იქნება. პირობებით და შეკრებით კმაყოფილები ვართ“ — გვითხრა გუშინ საქართველოს ნაკრების მენეჯერმა ვასილ აბაშიძემ, ბუქარესტში რომ შევეხმიანეთ.

მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს 18 საათზე ტელეკომპანია „მზე“ გეგმავს.

საქართველო — რუმინეთი

მალხაზ ურჯუკაშვილი	15	ფლორინ ვლაიკუ
ბესიკ ხამაშურიძე	14	კეტელინ ფერკუ
დავით კაჭარავა	13	კეტელინ დასკელუ
ირაკლი გიორგაძე	12	რომეო გონტინიაკი
ირაკლი მაჩხანელი	11	გაბრიელ ბრეზოიანუ
ოთარ ბარკალაია	10	იონუც დიმოფტე
ირაკლი აბუსერიძე	9	ლუჩან სირბუ
ბესო უდესიაინი	8	ოვიდიუ ტონიცე
გია ლაბაძე	7	ალეკსანდრუ მანტა
ილია მაისურაძე	6	ფლორინ კოროდიანუ
მამუკა გორგოძე	5	კრისტიან პეტრე
ილია ზედგინიძე (კაპ)	4	სორინ სოკოლი (კაპ)
დავით აშვეთია	3	ბოგდან ბელანი
გოდერძი შველიძე	2	რაზვან მავროდინი
დავით ზერაქაშვილი	1	პეტრუ ბელანი
სათადარიგონი:		
გიორგი კუთარაშვილი	16	ცეზარ პოპესკუ
ავთო კოპალიანი	17	პაულიკე იონი
ვიქტორ დიდებულიძე	18	კოზმინ რაციუ
რატი ურუშაძე	19	კოსტიკე მერსოი
ბიძინა სამხარაძე	20	ვალენტინ კალაფეტეანუ
გიორგი კაჭარავა	21	იონუც სტოფანი
გიორგი შკინინი	22	იოან ტოდერასკუ

SLOT POKER CLUB VEGA

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ძოგა ინასარიძე როსტოკიდან

საქართველოს ნაკრებმა როსტოკის „ოსტსეეშტადიონზე“ გუშინ დაახლოებით საათნახევარი ივარჯიშა და, იცოცხლეთ, ჩვენი გერმანელი კოლეგებისგან ყურადღება დაიმსახურა. ეს, მგონი, მასპინძლებს თავადაც გაუკვირდათ. თუმცა საქართველოს ნაკრების მიმართ ინტერესი ისევ და ისევ კლაუს ტოპმიოლერისგან მოდის. აქ, როსტოკში ტოპმიოლერსა და საქართველოს ცალ-ცალკე აღარავინ ახსენებს, ორივეს მიმართ საკმაო პატივისცემას გამოხატავენ.

„ოსტსეეშტადიონზე“ გუშინ ჯერ მასპინძლებმა ივარჯიშეს, თუმცა სტადიონის შესასვლელი ჟურნალისტებისთვის სულ 15 წუთით გაიღო, ფოტორეპორტიორებმა თავიანთი საქმე გააკეთეს, ჩვენ კი გერმანელი ვარსკვლავების შორიდან ცქერას დაგვჯერეს, მათთან საუბრის საშუალება არ მოგვეცა. სამაგიეროდ, გერმანელმა ჟურნალისტებმა კლაუს ტოპმიოლერს პრესკონფერენციაზე იმდენი რამ ჰკითხეს, მწვრთნელმა ლამის ვარჯიშზე დაგვიანა. შვიდზე პრესკონფერენცია დაიწყო, რვის ნახევარზე ჩვენების ვარჯიში...

ტოპმიოლერთან ინტერვიუ გუშინდელ „სარბიელში“ შემოგთავაზეთ და ამ პრესკონფერენციიდან მხოლოდ იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რაც სიახლედ და საინტერესოდ გვეჩვენა.

ჰერ კლაუსთან ერთად ჟურნალისტებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი *ნოდარ ახალკაციც* შეხვდა და გერმანელებმა მასაც ჰკითხეს...

— საქართველო-რუსეთს შორის გართულებულმა ურთიერთობამ ხასიათი ხომ არ წაგიხდინათ?

— არა, ამას არ ვუჩივით. მართალია, სამწუხაროა, ასე რომ აეწყო საქმეები, ლამის ყოველდღე ვეკითხებოდით ერთმანეთს იქაურ ამბებს, მაგრამ ამას გუნდის განწყობაზე არ უმოქმედია. ჩათვალეთ, ეს პრობლემა არ გვაწუხებს.

ახლა კი *კლაუს ტოპმიოლერს* მოვუსმინოთ...

— გერმანიაში მოთამაშე ქართველთაგან ხვალ ვის ათამაშებთ?

— გეტყვით, რომ ძირითადში მხოლოდ ლევან კობიაშვილი იქნება.

— 19 წლის მათე ღვინიანიძეზე რას იტყვით?

— მათე ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელია და მიხარია, რომ იგი დღეს „მიუნხენ 1860“-ში თამაშობს. ვფიქრობ, მას შეუძლია, დიდი ფეხბურთელი გახდეს.

— „ჰანზასთან“ მატჩში ძირითად მეკარედ გიორგი ლომაია გყავდათ. გერმანიასთან?

— გერმანიასთანაც ლომაია დადგება კარში. მას არაფერი აწუხებს და სათამაშოდ მზადაა.

— სახვალიო შემადგენლობა უკვე იცით?

— ვიცი.

— არ გვეტყვით?

— თუ ლიოვი მეტყვის თავის შემადგენლობას, მაშინ მეც გეტყვით.

— ბოლო ხანს როსტოკელი ქომაგები რამდენჯერმე ამხილეს რასიზმში. ამისი არ გეშინიათ?

— არა. ვფიქრობ, გერმანელ და ქართველ ხალხს საკმაოდ ახლო ურთიერთობა აქვს და არა მგონია, აქამდე მივიდეს საქმე. ჩვენ ყველანი მეგობრები ვართ და მჯერა, გერმანია ერთხელაც გამოიჩენს თავს მასპინძლობით — ჩვენ ხომ არაჩვეულებრივად ჩავატარეთ მსოფლიოს ჩემპიონატი.

...ვარჯიშზე კი რაიმე განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. ტოპმიოლერს არც ის შემადგენლობა გამოურჩევია, რომლითაც, შესაძლოა, დღეს ითამაშოს. გვენიშნა, რომ მწვრთნელმა ყურადღება დაცვაზე გამახვილა და დღესაც, ისევე როგორც ადრე, ჩვენი ნაკრების დაცვა ოთხკაციანი იქნება, შუაში კალაძე-ხიზანიშვილი ითამაშებენ... ზოგადად კი, შესაძლოა, ტოპიმ ნახევარდაცვაშიც და თავდასხმაშიც რაღაცები შეცვალოს, ოღონდ არა დაცვის ცენტრში.

სავარაუდოდ, მწვრთნელი გერმანიასთანაც ისეთი განლაგებით ათამაშებს გუნდს, როგორიც უკრაინასთან იყო — 4-4-2. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო იტალიასთანაც ასე დალაგდება. ყოველ შემთხვევაში, გუშინწინ ტოპმიოლერმა გვითხრა, გერმანიასთან მატჩი იტალიისწინა რეპეტიცია იქნებაო.

გუშინვე ვარჯიშის შემდეგ *ზურაბ ხიზანიშვილს* გავესაუბრეთ და პირველ ყოვლისა ის ვკითხეთ, რაზეც ბოლო ხანს საქართველოში ბევრს ლაპარაკობენ — რამდენიმე მატჩია, ხიზანიშვილი ნაკრებში ძველებურად სასარგებლო ველარ არისო...

— ჩემთვის, რა თქმა უნდა, ქომაგისა და ჟურნალისტის აზრი მნიშვნელოვანია. მათ შეუძლიათ, შეაფასონ ჩემი თამაშის დონე და რჩევებსაც გავითვალისწინებ, მაგრამ სხვა საქმეა, როცა კრიტიკა და პირადი შეურაცხყოფა ერთმანეთში ირევა.

— ჩემი აზრით, ახლა გაცილებით უკეთ ვთამაშობ, ვიდრე ორი-სამი წლის წინ. „ბლექბერნი“ მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ვთამაშობთ უეფას თასზეც და ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ჩემი ადგილი მაქვს. ვინმე თუ სხვანაირად ფიქრობს და ამბობს, რომ ხიზანიშვილს „ბლექბერნი“ საქართველოს ნაკრებს ურჩევნია, ძალიან ცდება. ნაკრებში ყოველთვის მთელი ძალითა და ენერგიით ვთამაშობ. შეცდომისგან დაზღვეული კი არავინაა. როგორც მე შემიძლია, შევჩენკოს ათი ორთაბრძოლიდან ხუთი მოვუგო, იგივე ალბათობით მასაც შეუძლია, ათიდან ხუთი მომიგოს. ფეხბურთში ყოველთვის მოგებული ვერ იქნები. ვფიქრობ, დღესდღეობით კარგ ფორმაში ვარ, ფეხიც აღარ მაწუხებს.

— ველი, რომ გერმანიასთან მატჩში ჩვენი გუნდი მწვრთნელის ყველა დავალებას შეასრულებს, სათამაშო დისციპლინას დაიცავს და იტალიას ფსიქოლოგიურად კარგი განწყობით შევხვდებით. შესაძლოა, გერმანიას ვერ მოვუგოთ, მაგრამ მწვრთნელის დავალება უნდა შეასრულოთ და თბილისში იტალიასთან შეხვედრას ხალისიანად შევხვდეთ.

აქ ისიც დავძინოთ, რომ გუშინ ზურაბ ხიზანიშვილის დაბადების დღე იყო — 25 წლის გახდა.

ზურამ ფეხის ტრავმა ახსენა და, რაკი სიტყვამ მოიტანა, გეტყვით, რომ კახა კალაძეს როსტოკში აზიური წარმომავლობის ფიზიოთერაპევტი ახლავს. როცა ეს კაცი საქართველოს ნაკრების ფორმაში გამოწყობილი ვნახეთ, კი გვეუცნაურა, მაგრამ სიტუაციაში მაშინვე გავერკვიეთ. კალაძეს მუხლი კიდევ აწუხებს და ფიზიოთერაპევტიც ამად იახლა...

— მუხლი მტკივა, მაგრამ თამაშში ეს ხელს არ შემიშლის — მოკლედ გვითხრა კახამ.

როსტოკი. 7 ოქტომბერი. 22 საათი. ოსტსეეშტადიონი

გერმანია — საქართველო

მსაჯები: ლენერი; ბუჩი, ფელინგერი; გრაფე (ყველა ავსტრია)

სავარაუდო შემადგენლობები

ჰილდებრანდი; ფრიცი, ა. ფრიდრიხი, მ. ფრიდრიხი, ლამი; ბალაკი, ჰიცლშპერგერი ოდონკორი, შვაინშტაიგერი; ჰანკე, პოდოლსკი

ლომაია; მენთეშაშვილი, ხიზანიშვილი, კალაძე, კვირკველია; კანკავა, ცქიტიშვილი, გოგუა, კობიაშვილი; დემეტრაძე, მოდებაძე

მოულოდნელი თემა

რუსული და რასული საკითხები როსტოკში

ლევან კობიაშვილი და იუბილარი ზურაბ ხიზანიშვილი

კახა კალაძის ტრავმა მორჩენაზეა

დაივიწყეთ ბევრით ნულები

16-ნლიან ისტორიაში საქართველოს ნაკრები მსოფლიო გრანდთან ამხანაგურად დღეს პირველად ითამაშებს. როსტოკული გერმანია — საქართველო იმითაცაა საინტერესო, რომ კლაუს ტოპმიოლერი თავისი ქვეყნის ნაკრებს უპირისპირდება, კიდევ იმით, რომ ჩვენს ნაკრებში გერმანულ კლუბში მოთამაშე ოთხი ფეხბურთელია, რომელთაგან ერთთან, ფრაიბურგელ ალექსანდრე იაშვილთან ინტერვიუ გერმანულმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა...

— როგორ მოემზადნენ საქართველოს ნაკრები და ალექსანდრე იაშვილი გერმანიასთან სათამაშოდ?

— გერმანიის მერე, ოთხ დღეში უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის მსოფლიოს ჩემპიონ იტალიასთან, მაგრამ ბუნდესნაკრებთან წუთითაც არ დავზოგავთ ძალას. დიდი ხანია, გერმანიაში ვარ და აქაურ ნაკრებთან განსაკუთრებული მოტივაციით ვითამაშებ.

— საკვალიფიკაციო მატჩში ფარერებს კი გაუტანეთ, მაგრამ მეორე ბუნდესლიგაში ჯერ კიდევ უგოლოდ ხართ. იქნებ გერმანიის ნაკრებთან მოარტყათ მიზანში?

— ეს ფანტასტიკური იქნებოდა. როგორ შეგპირდეთ, აუცილებლად გავიტან-მეთქი, მაგრამ მაინც მაქვს იმედი. ისე კი, ჩემს გოლზე მთავარი საქართველოს წარმატებით თამაშია.

— იოახიმ ლიოვის გუნდს შესარჩევ ციკლში 14:0 აქვს ბურთების შეფარდება. თქვენს ნაკრებსაც ხომ არ ემუქრება ბევრი გოლის გაშვება?

— არა, ასე არ მოხდება. საქართველოს საიმისო ძალა ნაღდად შესწევს, გერმანიას წინააღმდეგობა გაუწიოს. ბუნდესნაკრები ჩვენზე ძლიერია, თან შინ თამაშობს, მაგრამ არ შევრცხვებით.

— ქართული ფეხბურთის სახასიათო შტრიხებზე რას იტყვით?

— ჩვენ კომპაქტურ ფეხბურთს ვთამაშობთ, გვიყვარს ბურთთან ურთიერთობა და მოკლე პასებს ვამჯობინებთ. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრაზილიელებივით ვართ. ყველა რგოლში გვყავს და ყოველთვის გვყავდა ძლიერი, ტექნიკური ფეხბურთელები, მაგრამ გუნდურ თამაშში მოვიკოჭლებთ — საქართველოს ნაკრებმა, როგორც გუნდმა, ჯერ ვერაფერს მიაღწია.

— მაგრამ ახლა კლაუს ტოპმიოლერი გყავთ მწვრთნელად...

— სუპერმწვრთნელია. ტოპმიოლერი აქცენტს ტაქტიკასა და დისციპლინაზე აკეთებს, რის გარეშეც დღევანდელ ფეხბურთში შედეგს ვერ მიაღწევ. მისი მოსვლის შემდეგ პროგრესი აშკარაა, თამაში გავაუმჯობესეთ. აი, საფრანგეთის ნაკრები ძალიან ძლიერია და 0:3 კი წავაგეთ, მაგრამ თავისუფლად შეიძლებოდა, ასეთი ანგარიში თავიდან აგვეცილებინა. დანარჩენი ორი შესარჩევი მატჩი კარგ დონეზე ჩავატარეთ. მჯერა, ტოპმიოლერი მომავალშიც წარმატებით გააგრძელებს ჩვენთან მუშაობას.

— ტოპმიოლერი რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა, პირველად რა გითხრათ ფეხბურთელებს?

— მე ვიცი, რომ კარგი ფეხბურთელები ხართ, სხვა ნაკრებებს თქვენნაირი მოთამაშეები არ ჰყავთ და მაინც მიაღწიეს წარმატებას, ახლა კი ჩვენც იგივე უნდა გავაკეთოთ, შევეცდები, სწორი გზით წავიყვანო თქვენთან მუშაობაო.

— ლევან კობიაშვილი „შალკეს“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია, თქვენც დიდხანს თამაშობდით ბუნდესლიგაში. კიდევ ვინ არიან საქართველოს ნაკრების წამყვანი ფიგურები?

— კახა კალაძე, შოთა არველაძე, ზურაბ ხიზანიშვილი... სხვების ჩამოთვლაც შემიძლია, შვიდი-რვა კარგი დონის მოთამაშე გვყავს.

— მძიმე ჯგუფში მოხვდით, სადაც ორი გამორჩეული ფავორიტია. საქართველოს შეუძლია, სენსაცია მოახდინოს და ევროპის ჩემპიონატზე გავიდეს?

— სამ თამაშში სამი ქულა ბევრი არ არის. უკრაინასთან 2:3 რომ წავაგეთ, ძალიან დაგვწყდა გული — მეტოქეს ვჯობდით. საფრანგეთი უდავოდ საუკეთესოა ჯგუფში, ჩვენ კი ხუთი შეხვედრა შინ უნდა ჩავატაროთ და ხელის ჩაქნევა ნაადრევია. მაგალითად, შოტლანდიისა და უკრაინის დამარცხება თავისუფლად შეგვიძლია. როგორმე, ერთხელ მაინც, იქნებ იტალიასთანაც ვიმარჯვოთ.

რანი ვიყავით, რანი ვართ

შეცდა თუ არა ბერტი ფოგთსი

დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები მესამედ გაეჯიბრება გერმანიის უპირველეს გუნდს — აქამდე ეს გუნდები ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს არ შეხვედრიან, 1995 წელს კი ევრო 96-ის შესარჩევში ჯერ თბილისში და მერე ნიურნბერგში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ორივე შეხვედრა გერმანელებმა მოიგეს — 2:0 და 4:1.

ვფიქრობთ, ახლაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული იმდროინდელი საგულისხმო პერიპეტიები...

თბილისური მატჩისთვის საქართველოს ნაკრების განკარგულებაში 17 ფეხბურთელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ აეკ-ის თემურ ქეცბაია საბერძნეთის თასის ერთ-ერთ შეხვედრაში დაშავდა, ლავიწის ძვალი გაიტეხა და გერმანიასთან თამაში ამიტომაც ვერ შეძლო, თუმც თბილისში მაინც ჩამოვიდა.

მწვრთნელ ალექსანდრე ჩივაძეს შერჩა ექვსი ფეხბურთელი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდან და ათი ლეგიონერი, რომელთაგან ერთი თამაშობდა „როსტსელმაშში“, ორი ვლადიკავკაზის „სპარტაკში“, თითო „ომონიაში“, აპოელ-ში და შეპეტოვკის „ტემპში“, ორი „ტენის ბორუსიაში“, ერთი „ტრაბზონსფორში“ და ერთიც ბუნდესლიგურ „აინტრახტში“. ასეთი გახლდათ ჩვენი რესურსი გერმანიასთან, მსოფლიოს სამგზის და ევროპის ორგზის ჩემპიონთან, ევრო 96-ზე კი ბუნდესნაკრები მესამედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი.

ჩივაძის მატჩისწინა პრესკონფერენციას 58 ქართველი ჟურნალისტი დაესწრო და მხოლოდ ხუთი (!) კითხვა დაისვა. ერთ-ერთი კითხვა-პასუხი კი ასეთი იყო:

— მართლაც ასეთი საბედისწერო თამაშია, როგორც ზოგიერთნი ამბობენ და წერენ?

— ქართველები მაქსიმალისტები ვართ. ძალიან გთხოვთ, ნურაფერს გადავაჭარბებთ და ამ შემთხვევაში რეალისტები ვიყოთ.

ხანმოკლე პრესკონფერენციის შემდეგ ერთ-ერთმა დამსწრემ ჩივაძეს თავისი წიგნი აჩუქა და უთხრა: თამაშამდე წაიკითხეთ და აუცილებლად მოიგებთო. როგორც შემდეგ გაირკვა, წიგნი იმაზე იყო, თურმე როგორ ეხმარებიან უცხოპლანეტელები ქართველებს.

პრესკონფერენცია გამართეს გერმანელებმაც — ჟურნალისტებს მთავარი მწვრთნელი ბერტი ფოგთსი და ოთხი ფეხბურთელი წარუდგნენ. „ნაციონალმანშაფტის“ მცველმა თომას ჰელმერმა საქართველოზე თქვა: „აეროპორტიდან მოყოლებული, სადაც მივედით, ოვაციით შეგვხვდნენ. თუ ოდესმე გერმანიის ნაკრებს შინ თამაშს აგვიკრძალავენ, თბილისში მასპინძლობას ვისურვებდი“.

ეროვნულ სტადიონზე ასი ათასამდე კაცი მივიდა, მაგრამ ტრიბუნები არ გუგუნებდა. იურგენ კლინსმანმა პირველი გოლი მარიო ბასლერის კუთხურს მიაყოლა, მეორე — შტეფან როიტერის გარღვევას. მასპინძლებს ორი საგოლე მომენტი ჰქონდათ: პირველ ტაიმში შოთა არველაძე ანდრეას კეპკეს გასცდა, მაგრამ კარში დარტყმისას ბურთი აეჭრა; ბოლო წუთებზე კი გიორგი ქინქლაძის პასით გოჩა გოგრიჭიანი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში და მისი დარტყმული კეპკემ ფეხით მოიგერია.

„კიკერმა“ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები ასე შეაფასა. (უმაღლესი ნიშანია 1, უდაბლესი — 5): დევაძე (2,5), ცხადაძე (3), რევიშვილი (4), შელია (4), ჩიხრაძე (4), რ. არველაძე (4), გოგიჩაიშვილი (2), ქინქლაძე (2), კუდინოვი (3,5), ჯამარაული (3,5), შ. არველაძე (3,5). შეცვლაზე შესული ყაველაშვილი და გოგრიჭიანი არ შეუფასებიათ.

ფრაგმენტი ბერტი ფოგთსის მატჩისშემდგომი პრესკონფერენციიდან:

— გულახდილად გვითხარით, თქვენი აზრით, რამდენი წელი დასჭირდება საქართველოს, ევროპის ძლიერ გუნდებს თანაბრად რომ ეთამაშოს?

— დიდი დრო აღარ დარჩა, თქვენს ნაკრებს შეუძლია მეტოქისთვის თავბრუს დასხმა.

— ბეკენბაუერმა თქვა, რომ ალბანეთთან, მოლდოვასთან და საქართველოსთან თამაში გერმანიისთვის სახეირო არ არის. იზიარებთ ამ აზრს?

— ბეკენბაუერის ნაცვლად ბოდიშს გიხდით, მაგრამ დავძენ, რომ მისი სიტყვები პირდაპირ არ უნდა გავიგოთ. მან თამაშების ჩატარების დრო და სხვა საორგანიზაციო სირთულეები იგულისხმა.

ამ მატჩიდან ორი კვირის შემდეგ „სარბიელმა“ ინტერვიუ ჩამოართვა ქინქლაძეს და კითხვას, თუ რა იყო მარცხის ძირითადი მიზეზი, გიორგიმ უპასუხა:

— ფსიქოლოგიური სტრესი. თამაშის წინ ყველა ნერვიულობდა. ჰიმნის შესრულებისას პირიც კი გამიშრა, გამუდმებით ბისველებდი ტუჩებს. ვერაფრით მოვიხსენი დაძაბულობა. მატჩამდე დარჩენილი ნელი საათები კი ნამდვილი ტანჯვა იყო. ჩივაძემ ძალზე კარგად მოგვამზადა ამ თამაშისთვის, მაგრამ გავედი თუ არა მოთელვაზე, მუხლებში ძალა მომაკლდა, ბურთსაც ვეღარ ვიმორჩილებდი, ბიჭებსაც იგივე შევამჩნიე და მივხვდი, რომ წასაგებად განწირულნი ვიყავით.

და, რაღა უნდა შეცვლილიყო ხუთ თვეში? ის, რომ ნიურნბერგში საქართველოს ნაკრებმა პირველი 45 წუთი კარგად ითამაშა, რასაც ფოგთსის სიტყვებიც მოწმობს: „ქართველები პირველ ტაიმში გვჯობნიდნენ, რადგან დაცვა ავვერია, მცველები მეტოქისგან შორს იდგნენ და მათ ბურთის მიღების საშუალებას აძლევდნენ“.

„კიკერის“ მორიგი შეფასება: დევაძე (4), გუჯაბიძე (4), ჩიხრაძე (3), შელ (3), გოგიჩაიშვილი (4,5), ა. არველ ძე (არ შეფასებულა), ნემსაძე (3), ქეცბაია (1,5), კუდინოვი (3), ქინ ეაძე (2,5), ყაველაშვილი (3), გ. კილასონია (5), შ. არველაძე (4,5).

მაშინ მართლაც სულ სხვა დროება იყო საქართველოში, ხოლო ფეხბურთელთა რესურსის მხრივ სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა თუ უარესობისკენ, ეს ყველაზე კარგად ალბათ სწორედ ვრანდებთან თამაშში ჩანს — დღეს გერმანია, ოთხი დღის მერე კი იტალია — 2 სექტემბრის საფრანგეთის შემდეგ კლაუს ტოპმიოლერის გუნდს კვლავ ელის გამშიფრავი მატჩები.

დავით თავართქილაძე

1995, 29 მარტი

საქართველო 0:2 გერმანია

0:1, 0:2 კლინსმანი (24, 45)

საქართველო: დევაძე, ცხადაძე, რევიშვილი, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, კუდინოვი, რ. არველაძე (ყაველაშვილი 77), ქინქლაძე, შ. არველაძე, ჯამარაული (გოგრიჭიანი 64)

გერმანია: კეპკე, ბაბელი, კოლერი, როიტერი, ჰელმერი, ჰესლერი, მიოლერი, ვებერი (ფროინდი 46), აილტსი, ბასლერი, კლინსმანი

გაფრთხილება: ვებერი (29), ბაბელი (53), ფროინდი (66), კოლერი (80)

მსაჯები: ბოდნემი, ბენეტი, პირსონი

1995, 6 სექტემბერი

გერმანია 4:1 საქართველო

0:1 ქეცბაია (28), 1:1 მიოლერი (38), 2:1 ციგე (57), 3:1 კირსტენი (62), 4:1 ბაბელი (72)

გერმანია: კანი, ბაბელი, ციგე, კოლერი, ჰელმერი, ფროინდი, მიოლერი, შტრუნცი, კლინსმანი, ჰესლერი, კირსტენი

საქართველო: დევაძე, გუჯაბიძე, კუდინოვი, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი (ა. არველაძე 68), ნემსაძე, ყაველაშვილი (გ. კილასონია 46), ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე

გაფრთხილება: გოგიჩაიშვილი

ბია ახალაძის ფოტო

იურგენ კლინსმანი და მურთაზ შელია

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
ჩვენი მეტოქეები

შევჩენკო იტალიაში არ დაბრუნდა
შოვკოვსკიმ უკვე გაუშვა... ოღონდ ყურში

იტალია — უკრაინა

იტალიამ თუ უკრაინასთან ვერ მოიგო...

იტალიელებს ამის გაგონებაც არ უნდათ, ეს ცეცხლზე ნავთის დასხმა იქნება — „სკუადრას" ისედაც ცუდად აქვს საქმე შესარჩევ ჯგუფში და რომის „სტადიო ოლიმპიკოზე" გამძვინვარებული მხეცივით დაუხვდება ოლეგ ბლოხინის გუნდს.

მუნდიალის შემდეგ ნაკრებს ბრძოლის ჟინი მოაკლდა, ასეთია აპენინური მედიის აზრი, რასაც რობერტო დონადონი ნაწილობრივ ეთანხმება: „ჩვენ სწორი მოტივაცია გვჭირდება. მინდორზე გასვლისას მსოფლიოს ჩემპიონობა უნდა დავიწყოთ. წინ უნდა გავიხედოთ, თორემ ლამაზ წარსულზე ფიქრი კარგს არაფერს მოგვცემს".

იტალიას დღეს არ ეყოლებიან სიმონე პეროტა, ფაბიო გროსო და ნაკრებში ჯერაც დაუბრუნებელი ფრანჩესკო ტოტი. თურმე ნუ იტყვით და, „აძური" რომში რომ ეთამაშება უკრაინას, ტოტის დამსახურება ყოფილა.

„არჩევანი რომზე მხოლოდ იმიტომ კი არ გავაკეთეთ, რომ იტალიის დედაქალაქია, არამედ ტოტისაც ვუძღვნით მადლობას: იგი სხვადასხვა გარემოებების გამო არ ითამაშებს უკრაინასთან" — ამბობს დონადონი.

შესარჩევი ციკლი ჯერ არ გახურებულა, მაგრამ ცხრილს რომ ჩავხედოთ, უკვე ცხადი ხდება, ვინძლო იტალია — უკრაინა მეორე ადგილისთვის გადამწყვეტიც კი გამოდგეს. დონადონი ამბობს, რთული თამაში იქნება, მაგრამ მოსაგებად ყველაფერი უნდა გავიღოთო.

იტალია დარაზმულია და მაინც შფოთავს, მაგრამ შფოთი უკრაინელებისა იკითხეთ: ოლეგ ბლოხინი წარამარა გაიძახის, ფეხბურთელები ფორმაში არ მყავს, ვინ უნდა ვათამაშო, არ ვიცი.

და ყველაზე მთავარი: ანდრეი შევჩენკო რომში ვერ ჩავიდა — სიცხე აქვს. მართალია, „შევა" ძალიან მდარედ თამაშობს „ჩელსიში" და მილანელი „შევას" აჩრდილია, მაგრამ უკრაინის ნაკრებში მისი ფასი კარგა ხანს ვერავინ გამოჩნდება.

ბლოხინმა ნახევარდაცვის ერთერთი წამყვანი ფიგურა, ანდრეი გუსინიც მოისაკლისა. რუსული „კრილიას" ვეტერანმა საქართველოს ნაკრებთან თამაშისას მიიღო ტრავმა და გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. ლაზარეთშია სერგეი რებროვიც.

მწვრთნელისგან განსხვავებით, მშვიდადაა მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკი, რომელმაც მაინცდამაინც საქართველოსთან გაიგიჟა თავი და მას შემდეგ ლიგაზე „სტიაუსთან" და „რეალთან" ბავშვური გოლები გაუშვა. „საშოს" (შოვკოვსკის მეტსახელი) უთხრეს, ფიორენტინელ ლუკა ტონის დაუქადნია, მუნდიალზე უკრაინასთან ორი გოლი გავიტანე და ახლა მეტს ვეცდებიო, რაზეც მან უპასუხა — ტონის რაც უნდა, ის ილაპარაკოს, ერთ ყურში შევუშვი და მეორიდან გავუშვიო.

ისევ „სკუადრას" მივადგეთ და ვინ აამაღლებდა მათ განწყობას, თუ არა ჯენარო გატუზო — ნაკრების ყველა წევრს მოვუწოდებ, თავი გადადოს, უკრაინასთან და საქართველოსთან ექვსი ქულა უსიკვდილოდ უნდა ავიღოთო.

„ჯგუფში ისეთი სიტუაცია შეგვექმნა, მშვიდად ვერ ვიქნებით. მიუხედავად ამისა, მოგებები გვწყურია და დავამტკიცებთ კიდეც, რომ მსოფლიოს ჩემპიონები ტყუილად არ გვქვია. დონადონი საოცრად მოტივირებულია და ჩვენც არ ვაკლებთ" — ამბობს დაგეშილი გატუზო.

თავის მხრივ, უკრაინელთა თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა თავი დაიზღვიასავით — იტალიაში რომც წავაგოთ, დიდი არაფერი შეიცვლება, ჯგუფიდან გასვლის შანსი ისედაც დაგვრჩებაო...

ილია ნანოგაშვილი

ალგიმანტას ლიუბინსკასი

ნახევარი ლიტვა კუნძულზე
ნეტავ, სხვები რას იზამენ?

ფარერები — ლიტვა

ფარერელები ადრე რა იყვნენ და ამ შესარჩევში ისეთი დომხალი ნაკრები ჰყავთ, 0:6-ზე ნაკლებს არ აგებენ. კუნძულელთა ერთადერთი იმედი, ჯგუფში ქულა მაინც გამოჩხრიკონ, დღესაა — განახევრებულ ლიტვას მასპინძლობენ.

ალგიმანტას ლიუბინსკასს სახუმაროდ არ უნდა ჰქონდეს საქმე „სატურნისა" და მოსკოვის ცეესკას ნახევარმცველებს, ედგარას ჩესნაუსკისსა და დავიდ შემბერასს დისკვალიფიკაცია აქვთ, ახლა კი ტრავმირებულთა სია — ჯიაუკშტასი („სატურნი"), პრეიკშაიტისი („ვეტრა"), ლუკშისი („ეკრანასი"), რაძინივიაჩუსი („კლადნო") და იანკაუსკასი („ჰართსი").

ბალტიისპირელებს ორ მატჩში ერთი ქულა აქვთ, თუმცა ის ერთი ლამის ათს უდრის — პირველ ტურში იტალიასთან სტუმრად 1:1 ითამაშეს.

ლიტველთა მწვრთნელი აგლიმანტას ლიუბინსკასი კი მაინც მშვიდადაა და ფარერებზე კი არა, ჯგუფის სხვა მატჩებზე ლაპარაკობს, ეგებ საჩვენო შედეგებით დასრულდეს გლაზგოური და რომაული თამაშები, რათა, რაც შეიძლება, მაღალი ადგილის დაკავების შანსი გვქონდესო.

ილია ნანოგაშვილი

ლაზარეს მამლები
საფრანგეთი მამაც გულებს ან-ან-ით აშინებს

შოტლანდია — საფრანგეთი

ვილი სანიოლი, უილიამ გალასი, პატრიკ ვიეირა, სიდნეი გოვუ, ლუი საა — რაიმონ დომენეკმა ერთი ხელის მტევანი შეკრა, დანაკლისი უკვე ხუთამდე ავიდა. დიდებულ ფორმაში მყოფი საფრანგეთის ნაკრები მორიგი კონცერტის მოწყობას გლაგზოს „ჰემპდენ პარკზე" შეეცდება და წამყვანი ფეხბურთელების არყოფნა კი დაეტყობა, მაგრამ მაინც ფავორიტად ითვლება.

...და ეს იმის მიუხედავად, რომ შოტლანდიელთა მწვრთნელ უოლტერ სმიტს ერთი-ორი გამონაკლისის გარდა ყველა ფეხბურთელი საღ-სალამათი ჰყავს. სქოთები ალბათ თავადაც ვერ იხსენებენ, როდის ჰყავდათ ბოლოს ასეთი კარგი ნაკრები — კევინ მაკფადენი, კენი მილერი, დარენ ფლეტჩერი და ძმანი მათნი თავიანთ კლუბებშიც მაგრად ბურთაობენ და ეროვნულ ნაკრებშიც გოლუხვად ირჯებიან.

„საფრანგეთთან ჩემს ბიჭებს მოტივაციაზე ლაპარაკი არ სჭირდებათ. ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებს ვეთამაშებით, მაგრამ შოტლანდიას აქვს თავისი პლუსები, მასპინძლები ვართ და აგრესიულად უნდა ვითამაშოთ, თუმცა ამას რაციონალურად გავაკეთებთ. ცხადია, გულშემატკივრების დიდი იმედი მაქვს" — განაცხადა სმიტმა.

ისევ ფრანგთა დანაკლისზე ვთქვათ: სანიოლი, უბრალოდ, გადაღლილია, ვიეირას ვარჯიშზე ლილიან ტურამთან შეტაკებისას ქუსლი დაუზიანდა, საას საზარდული სტკივა, ხოლო „ლიონის" ფორვარდმა გოვუმ „სოშოსთან" კუნთი დაიჭიმა. ამას დაუმატეთ ბარძაყმტკივანი გალასიც, ვის ნაცვლადაც დომენეკმა სებასტიან სკილაჩის უხმო.

საა-გოვუ დიდი ძალაა, ორივენი ბრწყინვალე ფორმაში იყვნენ და ვითომ სრულფასოვნად შეცვლის მათ ნიკოლა ანელკა? დიახ, მგონი, აქედან უნდა დაგვეწყო: დომენეკმა ანელკას უხმო და, სავარაუდოდ, თავდასხმაში სწორედ მას შეუწყვილებს ტიერი ანრის.

ამოუცნობი ზნე-ხასიათის ანელკას ბოლოს ნაკრებში მარტში უთამაშია, როცა ფრანგებმა შინ ამხანაგურად 1:2 წააგეს სლოვაკეთთან. საერთოდ კი, მას 31-ჯერ მოურგია მამლიანი მაისურა და 7 გოლი შეუგდია.

მოკლედ, დომენეკის თავდასხმა თითქმის გაშიფრულია — ანრი-ანელკას ფლანგებზე, ჩვეულებრივ, ფრანკ რიბერი და ფლორენ მალუდა ამოუდგებიან, ვიეირას კი ალბათ ოლივიე დაკური შეცვლის.

მეტი ინტერესი რაღა, შოტლანდიასაც და საფრანგეთსაც ჯგუფში ქულა არ დაუკარგავთ.

ილია ნანოგაშვილი



ტიერი ანრის ქულადაუკარგავი საფრანგეთი ქულადაუკარგავ შოტლანდიას სტუმრობს

შოტლანდია	2	2	0	0	8:1	6
საფრანგეთი	2	2	0	0	6:1	6
საქართველო	3	1	0	2	8:6	3
უკრაინა	1	1	0	0	3:2	3
ლიტვა	2	0	1	1	2:3	1
იტალია	2	0	1	1	2:4	1
ფარერები	2	0	0	2	0:12	0

ევრო 2007. 19-წლამდელები
პირველი შესარჩევი ეტაპი

ბევრჯერ გაგონილი თამაში აგვერია

რუმინეთი 3:0 საქართველო

1:0 თომაშვილი (20ს.კ.), 2:0 კოიოსნინი (56), 3:0 განეა (87)

რუმინეთი: ბალგადრეანი, რადუ (ბუჰაესკუ 90), პაუნი, ჰორა, მარკუ, იონესკუ, განეა, ოჩიროსი (მუტულესკუ 88), კოიოსნინი, რუშესკუ, იაკობი

სათადარიგონი: ლუკა, ნეგურა, მელინტე, ფლორეა, ბარბოიანუ

მწვრთნელი: ფ. ჩერანი

საქართველო: თევდორაძე, თომაშვილი, ელბაქიძე, გვაძაბია, განუგრავა (ჩარგეიშვილი 72), კვასხვაძე (წულაძე 58), ბჟალავა, მჭედლიშვილი, გოცირიძე, ვ. კვარაცხელია (წინამძღვრიშვილი 46), ბენაშვილი

სათადარიგონი: კაკალაძე, მაილაშვილი, თოთაძე, ხიდეშელი

მწვრთნელი: ჰ. ტოპმიოლერი

გაფრთხილება: განუგრავა, ბჟალავა, მჭედლიშვილი

მსაჯები: მ. სტრაჰონია; ი. კრმარი (ორივე ხორვატია), დ. კულე; ს. ზრნიჩი (ორივე ბოსნია); უეფას დელეგატი: ვ. რასონი (დანია)

ევროშესარჩევის პირველი ეტაპი ქართველმა 19-წლამდელებმა ჩრდილოეთ ირლანდიასთან გამარჯვებით დაიწყეს და გუშინ მასპინძელ რუმინეთთან მარცხით გააგრძელეს. გუშინვე ბელგიამ ჩრდილოეთ ირლანდიას 4:2 მოუგო და ბურთების უკეთესი შეფარდებით გადაასწრო ჰანც ტოპმიოლერს გუნდს.

შეგახსენებთ: ჯგუფიდან ორი გუნდი გადის. ხვალ კი ჩვენი ნაკრები ბელგიას შეხვდება და მხოლოდ მოგება აძლევს ხელს.

რაც შეეხება რუმინეთთან მატჩს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, მეორე ტაიმში გოლები ჩვენი მცველების დაუდევრობას და შეუთანხმებელ თამაშს მოჰყვა. პირველი გოლისას კი რევაზ თევდორაძემ რუმინელი ფორვარდის დარტყმული მოიგერია, მერე ბურთი იქვე მდგომ გულვერდ თომაშვილს მოხვდა და კარში შევარდა.

მატჩის შემდეგ რუმინეთში დავრეკეთ და ჰანც ტოპმიოლერს კომენტარი ვთხოვეთ...

— პირველი ტაიმში თანაბარი თამაში იყო და მეტოქე ავტოგოლით დაწინაურდა. მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიშის გათანაბრების კარგი შანსი გვქონდა, მაგრამ წინამძღვრიშვილმა მომენტი ვერ გამოიყენა. ამის მერე თამაში აგვერია. შეიძლება ითქვას, უფრო ჩვენი შეცდომების გამო წავაგეთ. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ბელგიას მოვუგოთ. სამწუხაროდ, ბელგიასთან ვერ ითამაშებენ ბჟალავა და განუგრავა — მათ ორ-ორი ყვითელი ბარათი დაუგროვდათ.

დავით თავგართქილაძე

საუკეთესო ვასო
გიგიაძეს სექტემბერი დაუფასეს

გაზეთ „კომანდას“ ტრადიციული გამოკითხვით, კრივოი როგის „კრივბასის“ ქართველი თავდამსხმელი ვასილ გიგიაძე უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა სექტემბერში.

სულ 22 ფეხბურთელი დასახელდა და გიგიაძის გარდა მათ შორის ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ მცველი დავით კვირკველიაც მოხვდა.

გიგიაძეს ხმა მისცეს „კრივბასის“ მწვრთნელმა ალექსანდრ კოსევიჩმა, „სტალის“ მწვრთნელმა ტონ კაანენმა, „კრივბასის“ კაპიტანმა ვასილი საჩკომ და ჟურნალისტებმა, სერგეი დემიანჩუკმა, ვასილი მიხაილოვმა, პაველ მოროზოვმა და ვასილი გნატიუკმა.

შეგახსენებთ: 8 მატჩში გატანილი 6 გოლით გიგიაძე მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია.

კახა შალამბერიძე

საქართველომ ოლიმპი ოლიმპიკზე ნახა

17-წლამდელთა ნაკრები 3:2 ოლიმპი 2

0:1 შარია (38), 1:1 თარხნიშვილი (52), 2:1 ყენია (59), 2:2 ხომერიკი (80პ), 3:2 ღანიაშვილი (82)

17-წლამდელები: მაკარიძე (დგებუაძე 73), მინდორაშვილი, სორდია (თარხნიშვილი 46), ბუკია, კალანდია, მაჭავარიანი (მჭედლიძე 46), მამუჩიშვილი (ყენია 46), ბ. კვარაცხელია (ღანიაშვილი 46), ბეროშვილი, ბეგლარიშვილი (ჯოხაძე 46), გიორგობიანი

მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი

მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა და რუსთაველის „ოლიმპის“ ფარმ-კლუბი 3:2 დაამარცხა.

ჰერბერტ ცანკერმა ამჯერადაც ბევრ ფეხბურთელს მისცა თამაშის შანსი, რაც იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელი ჯერაც ძიების პროცესშია.

შეგახსენებთ: საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ევროშესარჩევი ტურნირი 13 ოქტომბერს რუსეთთან მატჩით ეწყება. იმავე დღეს ითამაშებენ გერმანია და მაკედონია.

გადრი კეთილაძის ფოტო

ასე არ ჯობია?!
სად ყირაზე გადასვლა და სად რიყეზე წასვლა

ბილეთები იყიდება რიყეზე და მყიდველებიც აღარ გადადიან ყირაზე, როგორც ადრე ხდებოდა მინი-ციხესიმაგრისმაგვარ სალაროებთან, ან „ევროვნულის“ რკინის ღობესთან, სადაც ღობეში შეყოფილი ხელებით მოლარეს ლამის ლარებს უტყაპუნებდნენ სახეში.

„ვენაცვალე! აი, ესაა წესრიგი, ასე არ ჯობია?!“ — თქვა კომფორტულობის შეგრძნებით ნასიამოვნებმა ბიძამ და კოხტად ჩააცურა საფულეში ბილეთები.

მოსაწესრიგებელი არც არაფერი იყო, რადგან მომწესრიგებელი ანუ პატრული გუშინ, დაახლოებით სამი საათისთვის უფრო მეტი ირეოდა სალაროებთან, ვიდრე მყიდველი.

ასე არ ჯობია?!

ვაჟა ხუციშვილი



7 ლარიანი

ჩრდილოეთი: იარუსი 1, სექტორი 9, 10, 11

ჩრდილოეთი: იარუსი 2, სექტორი 15, 17

სამხრეთი: იარუსი 1, სექტორი 1, 2, 17 18

სამხრეთი: იარუსი 2, სექტორი 1, 2, 30

15 ლარიანი

სამხრეთი: იარუსი 2, სექტორი 3, 28, 29

ჩრდილოეთი: იარუსი 2, სექტორი 13, 14, 18, 19

დასავლეთი: იარუსი 2, სექტორი 5 (რიგი 26-35), 6 (რიგი 26-35), 11 (რიგი 26-35), 12 (რიგი 26-35)

აღმოსავლეთი: იარუსი 2, სექტორი 20 (რიგი 26-35), 21 (26-35), 22 (რიგი 26-36), 23 (რიგი 26-35), 24 (რიგი 26-35), 25 (რიგი 26-35), 26 (რიგ 26-35), 27 (რიგი 26-35)

30 ლარიანი

დასავლეთი: იარუსი 2, სექტორი 5 (რიგი 1-25), 11 (რიგი 1-25), 12 (რიგი 1-25), 7 (რიგი 26-35), 8 (რიგი 26-35), 9 (რიგი 26-35), 10 (რიგი 26-35)

აღმოსავლეთი: იარუსი 2, სექტორი 20 (რიგი 1-25), 21 (რიგი 1-25), 22 (რიგი 1-25), 23 (რიგი 1-25), 24 (რიგი 1-25), 25 (რიგი 1-25), 26 (რიგი 1-25), 27 (რიგი 1-25)

50 ლარიანი

დასავლეთი: იარუსი 2, სექტორი 7 (რიგი 1-25), 9 (რიგი 1-25), 10 (რიგი 1-25)

აღმოსავლეთი: იარუსი 1, სექტორი 14

გადრი კეთილაძის ფოტოები

სიტუაცია კაფეში

დახვეწილად მეტყველი ფრანგი, რომელსაც ყელის გასვლება უნდა. ერთი უკვე დალია: საქართველო



გერმანიის სტადიონებზე გადახდენილი მრავალი ფათერაკის შემდეგ რაიმონ დომენეკმა და მისმა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა საფრანგეთის ნაკრებმა ევროპის 2008 წლის პირველობის შესარჩევი ციკლი საუცხოოდ დაიწყეს. ბუნებრივია, შეჯიბრების საუცხოოდ დაწყებაში საქართველოს დამარცხება არ იგულისხმება, აქ „სტად დე ფრანსზე“ მსოფლიოს ჩემპიონების, იტალიელების 3:1 ძლევას ვგულისხმობთ, როგორც ჩანს, ასევე ფიქრობენ იმ ინტერვიუს ავტორები, ქვემოთ რომ გთავაზობთ. მეტიც, ინტერვიუს ამ შესავალში საქართველო ჩვენ ვახსენეთ, თორემ FIFA.COM-ის კორესპონდენტს ჩვენი და ფრანგების თამაში არც გახსენებია, რაც გასაკვირი სულაც არ არის. საქართველოს ნაკრებს ის დრო, როდესაც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონების მიერ მისი ძლევა საგანგებოდ აღსანიშნავ ამბად ჩაითვლება, ჯერ კიდევ წინ აქვს, მანამდე კი სამფეროვანთა მწვრთნელის ნაუბარს გავეცნოთ

— მაშ ასე, ახალი კამპანია ჩინებულად დაიწყეთ. თქვენი შემდგომი მეტოქე შოტლანდიის ნაკრებია. ალბათ, დაწვრილებით შეისწავლეთ მეტოქე.

— მართალი გითხრათ, სქოთების თამაში ბოლო დრომდე არ მქონდა ნანახი. მეტიც, მათი გუნდით მხოლოდ ახლა დავინტერესდი, როდესაც უშუალოდ შეხვედრა მოახლოვდა. მარტო ბოლო კვირების განმავლობაში იმდენი რამ შეიცვალა, რომ აშკარაა, საკითხში დროზე ადრე ჩაღრმავებას უბრალოდ აზრი არ ჰქონდა. ზუსტად ამ პრინციპით ვიხელმძღვანელე იტალიასთან შეხვედრის წინ. იტალიის ნაკრებს მხოლოდ საქართველოში თამაშის შემდეგ მივუბრუნდი. ჩვენ ისეთ გარემოში გვიწევს მოქმედება, რომელიც ძალიან სწრაფად იცვლება, მაგრამ მე ეს მომწონს, ძალიან მინდა, მსოფლიოს ჩემპიონატის დროინდელი რიტმი და განწყობა არ დაგვეკარგოს. ერთი სიტყვით, ყოველი კონკრეტული მეტოქისთვის უშუალოდ მასთან შეხვედრის წინ ვემზადებით.

— შესარჩევი შეჯიბრებები მართლაც შესანიშნავად დაიწყეთ, არც მეტი, არც ნაკლები, იტალიას მოუგეთ.

— ძალიან მომეწონა, როგორ დავიწყეთ იტალიასთან თამაში და როგორ შევინარჩუნეთ ეს დონე თამაშის ბოლომდე. ასეთი რამ ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატზეც შევძელით. განსაკუთრებით იმან მასიამოვნა, თუ როგორ ვაკონტროლებდით შეხვედრას. მთელი მატჩის განმავლობაში ერთი წამიც არ ყოფილა, სადავეები ხელიდან რომ გაგვეშვა. თუ გახსოვთ, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ხალხი სწორედ ამას გვიწუნებდა ყველაზე მეტად. მიუხედავად იტალიელთა მჭიდრო მეურვეობისა, ჩვენ მიერ ბურთის გათამაშება ცალკეულ ეპიზოდებში წარმოდგენის ტოლფასი გახლდათ, წამით არ გვიპანიკია, მაშინაც კი, იტალიელებმა ანგარიში 2:1-მდე რომ შეამცირეს. ჩვენ საუცხოონი ვიყავით.

— მსოფლიოს ჩემპიონატის ვნებათაღელვის შემდეგ ფეხბურთელებისთვის ახალი მოტივაციის გამოძებნა, მათი ხელახალი დამუხტვა ხომ არ გაგჭირვებიათ?

— მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ პირველი თამაში ბოსნიაში გვქონდა, სადაც, მართალი გითხრათ, ვნერვიულობდი. როგორი საქმეა, ამხელა ვნებათაღელვის შემდეგ მოთამაშეების სწორ კალაპოტში დაბრუნება? ვატყობდი, რომ იმ შეხვედრაში საბრძოლო განწყობა არავის ჰქონდა, მოსვენების და განმუხტვის ცთუნება იყო ძალიან დიდი. მერედა, ფეხბურთელების ნაწილიც გაურკვევლად იყო, გონება ტრანსფერებით ჰქონათ დაკავებული. სხვებს ვერ გადაეწყვიტათ, გაეგრძელებინათ თუ არა ნაკრებში თამაში. მოკლედ, ნაწილებად დაშლის ყველა პირობა იყო შექმნილი, მაგრამ თამაში რომ დაიწყო, ხუთი წუთი საკმარისი აღმოჩნდა, კვლავ გამარჯვების სურვილი რომ დამენახა. სხვათა შორის, ბოსნიელების მადლობელი გახლავართ, ისინი ჩვენთან თამაშს დიდი ენთუზიაზმით მიუდგნენ და ამხანაგურ შეხვედრას ნამდვილი ბრძოლის ელფერი მისცეს. შედეგმაც არ დააყოვნა, ჩვენმა ფეხბურთელებმა სწრაფი და ინტენსიური ფეხბურთი გააჩაღეს. იცით, ვინ ვინ და, მწვრთნელმა ყოველთვის ზუსტად იცის, როგორ შეიძლებოდა მატჩი წარმართულიყო და როგორ წარიმართა.

— თვენს პირად მოტივაციაზე რას გვეტყვით? მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ თავად როგორ გამონახეთ ძალები ახალი კამპანიისთვის?

— საფრანგეთის ნაკრების სათავეში უპირველეს ყოვლისა იმიტომ დავრჩი, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გავხდი. ფინალი ჩვენ რომ მოგვეგო, მარჩელო ლიპისავით მოვიქცეოდი, მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ საკუთარ თავში ახალი ძალების გამონახვა ძალიან ძნელია, მაგრამ ფინალში დამარცხების გამო ყელი ჯერაც გამშრალი მაქვს და მინდა დავამტკიცო, რომ ჩვენც შეგვიძლია გამარჯვება. ჩემი მოტივაცია გამარჯვების წყურვილიდან მოდის. ჩემს გუნდს საკუთარი თავი სრულიად ჯერ არ წარმოუჩენია. საქმე ჯერ კიდევ გასაკეთებელია.

— ერთი წუთით შედეგს თავი დავანებოთ. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის ერთ-ერთი საკვანძო ეპიზოდი ზინედინ ზიდანის გაძევება გახლდათ. როგორც ამ ყველაფრის უშუალო მონაწილე და შემსწრე, როგორ მოიგონებდით ინციდენტს?

— იმ მომენტში ამაზე, როგორც რაიმე საგანგებოზე, არც მიფიქრია. გავიფიქრე, რომ ეს მორიგი საფეხბურთო ინციდენტი იყო და გონება დარჩენილი წუთების სწორად ორგანიზაციაზე გადავრთე — ვინ გამომეცვალა, ვისთვის პოზიცია შემეცვალა და ასე შემდეგ. თამაშის მსვლელობისას ისე გავითანგე, რომ მომხდარმა საერთოდ ვერ მოახდინა ჩემზე ვერანაირი შთაბეჭდილება. მერე, მატჩი რომ დასრულდა, ზიდანს დაველაპარაკე და ვნახე, რომ მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რატომ გააკეთა ის, რაც გააკეთა. მგონი „ეშმაკმა უბიძგა“ (იცინის) ან რაიმე ამგვარი.

— მეორე შთამბეჭდავი მომენტი იმავ ზიდანის მიერ პანენკას სტილში დარტყმული პენალტი გახლდათ.

— და ეს იყო ძალიან ჭკვიანური დარტყმა, რადგან ზიდანი კარგად იცნობს ჯანლუიჯი ბუფონს. თავის მხრივ, ბუფონმაც იცოდა, რომ ზიდანი ყოველთვის მარცხნივ არტყამს, ამიტომ „პანენკა“ სწრაფი და სწორი არჩევანი გამოვიდა, თუმცა ისე, როგორც ბევრმა, თავიდან ვერც მე დავინახე, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი და თავშეკავებული ვიდექი. საბოლოოდ, ასე იყო თუ ისე, ბურთი კარში შევიდა და სასაყვედურო ალარაფერი მქონდა. ისე, შემდეგ ითქვა, რომ ჯობდა, ასეთი პენალტი არ გასულიყო, რადგან იტალიელებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს. პენალტის შემდეგ მე ჯენარო გატუზოს სახეს შევხედე. მართალია, გატუზო ასეც და ისეც დამუხტულია, მაგრამ ის სახე მაინც სხვა იყო. მანამდე იტალიელები ცუდად თამაშობდნენ, გაშვებული პენალტის შემდეგ კი გამოსწორდნენ. მოკლედ, პენალტი ულაპარაკოდ საკვანძო მომენტი იყო, ისევე, როგორც პატრიკ ვიეირას ტრავმა.

— გერმანიაში თქვენი წარმატებული გამოსვლა მნიშვნელოვანწილად ფრანკ რიბერიმ განაპირობა, არადა, ამ ნახევარმცველის ნაკრებში მოხვედრა ყოველთვის საეჭვო იყო. ნუთუ მისი მუნდიალზე წაყვანა რაიმე რისკთან იყო დაკავშირებული?

— არა, ადრე მე მას ვიყენებდი როგორც მოულოდნელ იარაღს, რომელსაც მეტოქისთვის დიდი ზიანის მიყენება შეეძლო, ხოლო კითხვა, რომელსაც იმხანად საკუთარ თავს ვუსვამდი, ასეთი გახლდათ: რას მოიტანს რიბერის გუნდში მუდმივ წევრად ყოლა? იგი ეფექტური იყო როგორც მოულოდნელობა. აი, მაგალითად, ინგლისის ნაკრებში თეო უოლკოტის გამოჩენას ხომ არავინ ელოდა? მაგრამ, მოულოდნელობის ეფექტი სულაც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ესა თუ ის ფეხბურთელი ნაკრების რეგულარულ წევრად აქციო. თუმცა, საბოლოოდ, რიბერის ვენდე როგორც ნიჭიერ ადამიანს. ის საფრანგეთის გუნდში მოვიდა გვიან, მაგრამ უცბად შეერწყა მას. მწამს, რიბერი სარბიელზე ორი წლის წინ რომ შემოვარდნილიყო, ეს არაფრის მომცემი იქნებოდა.

— კი, მაგრამ, განა მეტოქეთა მოულოდნელობებით გაოცება და, საერთოდ, რისკზე წასვლა მწვრთნელის მოვალეობა არ არის?

— მე თუ მკითხავთ, რო[illegible] არაფერ შუაშია. მწვრთნელი ფეხბურთელს მისი ნიჭი [illegible], გადამწყვეტი კი [illegible]სების დაწვრილებით ცოდნაა, რათა ზუსტად ამოიცნო, რას მოიტანს იგი გუნდში. პრესას და ქომაგებს თავიანთი შეხედულებები აქვთ, მათ თავიანთი ფავორიტები ჰყავთ, მწვრთნელი კი ვალდებულია, დანახულსა და წაკითხულზე მეტით ხელმძღვანელობდეს. მწვრთნელს მეტი კონკრეტულობა მოეთხოვება. მან უნდა ამოიცნოს, რით დაეხმარება ესა თუ ის მოთამაშე გუნდს. იტალიასთან, შესარჩევში, სიდნეი გოვუ აბსოლუტურად კონკრეტული და მარტივი მიზეზის გამო ვათამაშე — ჩემი გუნდის საუკეთესო ვარიანტი იმ დღეს გოვუსაც გულისხმობდა. ორი თვის შემდეგ შესაძლოა, ეს ასე აღარც იყოს.

— მოახლოებული ორი თამაშისთვის შედგენილი სანაკრებო სია იმის დასტურია, რომ ახალგაზრდების გამოცდას განაგრძობთ.

— საფრანგეთში ასეა: ჯერ ნაკრების მწვრთნელი ხარ და მერე ის სპეციალისტი, რომელიც მოთამაშეებს იძახებს, თუმცა ახალგაზრდების გამოცდა ჩემს მოვალეობებშიც შედის. ვცდილობ, ფრანგული ფეხბურთის მომავლის შენებაშიც მივიღო მონაწილეობა. მოკლედ, ნაკრებს მხოლოდ იმიტომ არ ვხელმძღვანელობ, რომ ჩემი მისია შევასრულო, ფული ავიღო და ჩემს გზას ვეწიო. მეორე მხრივ, ჩემი უმთავრესი მოვალეობა შედეგის მიღწევაა, რაც იმას ნიშნავს, რომ დაუყოვნებლივ წარმატებასა და გრძელვადიან გეგმებს შორის ბალანსია გამოსანახი. ასეა თუ ისე, ნაკრებში საუკეთესოები ხვდებიან და აქ ასაკი არაფერ შუაშია. ახალგაზრდები უნდა მოვიდნენ და თავიანთი ადგილი მოიპოვონ, ნებით მათ არავინ არაფერს მისცემს. მათ უნდა დაამტკიცონ, რომ ვეტერანებს ჯობიან და ისინი განდევნონ გუნდიდან. ნაკრების მწვრთნელებს გუნდის გასამართად და ყველასთვის ყველაფრის თანდათანობით ასახსნელად ათი თამაში თავიანთ განკარგულებაში უბრალოდ არ აქვთ. ახალგაზრდებმა კეთილი უნდა ინებონ და დაუყოვნებლივ მოინადირონ ადგილი. ნიჭიერი, მაგრამ მოუმწიფებელი ნაკრებში არავის სჭირდება.

— როგორც ჩანს, თქვენ ფეხბურთელებს მხოლოდ მათი დღევანდელი ფორმის მიხედვით არჩევთ.

— საქმე ცოტა უფრო რთულად არის. ზიდანის ამხანაგურ თამაშებში აყვანა-არაყვანაზე მისი მაშინდელი ფორმის მიხედვით რომ მემსჯელა, ის გერმანიაში უბრალოდ ვერ მოხვდებოდა. ადამიანმა წინ უნდა გაიხედოს და განსაზღვროს, რა შეუძლია კონკრეტულ ფეხბურთელს. ხანგრძლივი შეჯიბრების დასაწყისში შეიძლება იმუშავო ფეხბურთელთან, რომელიც, ვთქვათ, დაღლილია, მაგრამ თუ წინ ერთადერთი თამაშია, მაშინ ასეთი მუშაობა გამორიცხულია. მოკლედ, კონკრეტულ დროს ვინ როგორ ფორმაშია, მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ, რადგან დრო არაფრისთვის რჩება.



ბარტეზი აღარ ილაპლაპებს: ყველაზე ცნობილმა თავმა ქუდი დაიხურა

საფრანგეთის სპორტულ ცხოვრებაში დიდი სიახლეა: ფეხბურთიდან მიდის სამფეროვანთა და „მარსელის“ მეკარე, 35 წლის ფაბიენ ბარტეზი, რომელსაც, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მთელ მსოფლიოში კოლორიტულობის გამო დაიმახსოვრებენ

აუ, რა მეკარე, აუ, რა აურა!

ზოგიც ლინდას ჰკითხეთ, ევანჯელისტას

1998 წლის მსოფლიოსა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონი ამ ზაფხულზე ჩატარებულ მუნდიალზეც იცავდა ნაკრების კარს. შეგახსენებთ, რომ ბრძოლა ფრანგთა მთავარი გოლკიპერობისთვის მან „ლიონის“ კარის მცველს გრეგორი კუპეს მოუგო, რაც სკანდალურ თემადაც კი იქცა, რადგან კუპე ძალიან ძლიერი მეკარეა და მისთვის პირველობაზე უარის თქმამ ვნებათაღელვა გამოიწვია. ფაბიენ ბარტეზმა ნაკრებში ოთხმოცდამეშვიდეჯერ ანუ ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ითამაშა. ეს იყო 9 ივლისს, როდესაც საფრანგეთმა იტალიასთან პენალტებით წააგო.

ბარტეზის კარიერიდან აღსანიშნავია ის პერიოდი, როდესაც ფრანგი „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარს იცავდა, თუმცა ინგლისურ გუნდში მას მაინცდამაინც არ გაუმართლა, მეტიც, ერთიხანობა ბევრ უხეშ შეცდომას უშვებდა.

ამ პატარა ცნობაში საკუთარი შთაბეჭდილების გარევას ინფორმაციის ჟანრის დარღვევად თუ არ ჩაგვითვლიან, გავბედავთ და ვიტყვით, რომ ბარტეზი ნაკრებში ყოველთვის უკეთ თამაშობდა, ვიდრე ამა თუ იმ კლუბში, ყოველ შემთხვევაში, საფრანგეთიდან შორს, სამფეროვანთა შემადგენლობაში მის მიერ ჩადენილი ბუზიყლაპიობა, რაც ამ ჩინებულ გოლკიპერს კლუბებში შიგა და შიგ მართლა ახასიათებდა, მაინცდამაინც არ შემჩნეულა.

ამ სიტყვების ავტორს ფაბიენ ბარტეზის თამაში 2000 წლის ევროპის პირველობაზე ცოცხლად აქვს ნანახი და თქვენი ყურადღება მის ერთ თვისებაზე სურს გაამახვილოს: ბარტეზი გუნდისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ როგორც თანაგუნდელთა გამამხნევებელი და მეტიც, სტადიონზე კლიმატის შემქმნელი. მაშინ, 2000 წელს, საფრანგეთის ნაკრების ექვს შეხვედრას დავესწარი და ექვსივეჯერ თამაშის წინ, მოთელვაზე, ბარტეზი თანაგუნდელებზე რამდენიმე წუთით ადრე გამოვიდა. და ექვსივეჯერ ბარტეზის გამოსვლას მაყურებლის ოვაცია, გახურება თუ დამუხტვა მოჰყვა. მას, მოდუნებულ სტუმარ-მასპინძლებს ვიხმაროთ, შოუ ეკეთა — ეს ერქვა ამ ოვაციას. მისი მოედანზე შესვლა არ იყო მხოლოდ და მხოლოდ საფეხბურთო ვარსკვლავის გამოჩენა, ეს კიდევ სხვა გახლდათ.

და ალბათ სწორედ ამ აურის გამო გახლავთ ფაბიენ ბარტეზი ელიტარული ქალების გულთამპყრობელი. ვფიქრობთ, ამ შეფასებაში არ ვაჭარბებთ, რადგან დამამტკიცებელ საბუთად მისი და ცნობილი ტოპმოდელის ლინდა ევანჯელისტას ძველი და სერიოზული რომანი მოგვყავს.

„ფეხბურთს თავს ვანებებ — განაცხადა ბარტეზმა **TF1**-ის კამერების წინ — ახლა მინდა საკუთარი ცხოვრებით დავტკბე, ისე, როგორც 15 წლის ასაკიდან ვაკეთებ, ოღონდ ამიერიდან ამას ფეხბურთის გარეშე ვიზამ“.

ფაბიენ ბარტეზის კარიერა დაიწყო „ტულუზში“. შემდეგ ის თამაშობდა „მარსელში“, „მონაკოში“, ზემოხსენებულ „მანჩესტერ იუნაიტედში“ (2000 და 2001 წელს პრემიერლიგის ტიტულები მოიგო) და ისევ „მარსელში“.

ლაველანეში დაბადებული უთმო ვარსკვლავის ლაპლაპა თავი ფრანგთა ოდინდელი კაპიტნის ლორან ბლანის კარგად დაცდილმა კოცნებმა საგანგებოდ პოპულარული გახადა.

წინააღმდეგობრივი ხასიათის ადამიანის ცხოვრებაში იყო ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაციაც, რომელიც მან მაროკოში, „ვიდად კასაბლანკასთან“ თამაშის დროს მსაჯისთვის შეფურთხების გამო მიიღო. და ალბათ...

„კარგად ვიცი, რომ ფაბიენი სიგარეტს ეწევა — უთხრა ოდესღაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ფრანგულ გაზეთ „ეკიპს“ — მას იქნებ ჰგონია, რომ არ ვიცი, მაგრამ ჯერ კიდევ მანამდე ვიცოდი, სანამ ვიყიდდი. ინგლისში მწეველი ფეხბურთელი იშვიათობაა, მაგრამ ჯანდაბას, მთავარია, რომ ლოთი არ არის“

პაპუნა კედია

ფალკაო

მაურო ესპოზიტო

ლუჩანო სპალეტი

ფალკაო: კარგად მახსოვს ტურონე და ტურინი

მოდი ეს წერილი პაოლო რობერტო ფალკაოთი დავიწყოთ, რადგან ეს სახელი იმ გულშემატკივრისთვის, რომელიც ფეხბურთს გასული საუკუნის 80-იან წლებშიც უყურებდა, ბევრს ნიშნავს. ფალკაო, ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი ბრაზილიელი მწვრთნელის ტელე სანტანას სრულიად ჯადოსნური ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი გახლდათ. მის მხარდამხარ კი თამაშობდნენ სოკრატესი, ზიკო და სხვა დიდი ვარსკვლავები.

მაგრამ ჩვენი საუბრის თემა სხვაა, კერძოდ, „რომა", რომლის ყვითელ-წითელი ფორმა ბრაზილიელ ჯადოქარს 1982-83 წლების სეზონში ეცვა, როდესაც „ჯალოროსიმ" სკუდეტო მოიპოვა. დღეს ფალკაო სწორედ თავისი ყოფილი გუნდის შესახებ გვიზიარებს შეხედულებებს:

„მიუხედავად იმისა, რომ პირველი შთაბეჭდილება „ინტერის" სასარგებლოდ რჩება, ვგონებ, „რომას" ამ სეზონში სკუდეტოს მოგება შეუძლია. შავ-ლურჯებს ინდივიდუალურად ძალიან ძლიერი ფეხბურთელები ყავთ, მაგრამ სეზონი ხანგრძლივია და მთელი ამ ხნის მანძილზე რომაელთა საგანგებო თვისებებმა თავიანთი როლი უნდა ითამაშონ. ეჭვი არ შეგეპაროთ, „რომა" დღეს სერია **A**-ს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია, რომელსაც ლუჩანო სპალეტი ჩინებულად ხელმძღვანელობს. მე სავსებით ვეთანხმები სპალეტის, რომელიც გუნდის თამაშს ფრანჩესკო ტოტის გარშემო აწყობს. ტოტი ის ფეხბურთელია, რომელიც გადამწყეტ როლს მაშინაც კი თამაშობს, როდესაც ცუდ ფორმაშია".

კითხვაზე, შეიძლება თუ არა მისი დროისა და დღევანდელი „რომას" შედარება ფალკაო პასუხობს:

„მართალი გითხრათ, ბევრ ანალოგიებს ვერ ვხედავ, რადგან დღევანდელი ფეხბურთი აბსოლუტურად განსხვავებული თამაშია. ვარჯიშით ჩვენც ძალიან ბევრს ვვარჯიშობდით, მაგრამ ფიზიკური ასპექტი დღევანდელივით მნიშვნელოვანი არ იყო. ჩემი თაობის ფეხბურთელები გაცილებით ტექნიკურები იყვნენ ვიდრე ისინი, რომელთა თამაშსაც დღეს ვადევნებ თვალს".

და როდესაც საუბარი თანამედროვე იტალიურ ფეხბურთს ეხება, კალჩოპოლის სკანდალისთვის გვერდის ავლა უბრალოდ, შეუძლებელია.

„ჩემთვის ამ თემაზე საუბარი მტკივნეულია, რადგან მახსენდება რამონ ტურონეს მიერ „იუვენტუსის" კარში 1981 წელს გატანილი გოლი, რომელიც არ ჩათვალეს. უკვე მაშინ მივხვდით, რომ „იუვენტუსთან" დაკავშირებით რაღაც მთლად სუფთად არ იყო. ახლა, ეჭვები ფაქტებად იქცა".

ცნობისათვის: რამონ ტურონეს არჩათვლილი გოლი მაშინ, 80-იანი წლების დასაწყისში, რეზონანსული მოვლენა და უსამართლობის სიმბოლო გახლდათ.

სეზონის შთამბეჭდავად დაწყებისა და აგერ, რობერტო ფალკაოს ქება-დიდების მიუხედავად, „რომას" მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი ამბობს, რომ იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე კლუბმა ფეხბურთელები უნდა შეიმატოს. მოგეხსენებათ, ნებისმიერი საქონლის, მათ შორის ფეხბურთელების ყიდვას ფული სჭირდება. რა თანხის იმედად მიდიან რომაელები ბაზარში? როგორც ამბობენ, სპალეტის საფულეში დევს ინგლისური „ტოტენჰემ ჰოთსპურისგან" აჰმედ მიდოს სანაცვლოდ მიღებული 7 მილიონი ინგლისური გივრანქა და კიდევ 4 მილიონი, რომელსაც კლუბი ზარდახშიდან გამოდის. და ვინ არის საყიდელი? მარჯვენა გარემარბი და მარცხენა მცველი.

როგორც ხედავთ, „ჯალოროსის" ფლანგები აქვს გასაძლიერებელი. გარემარბობას ისინი „კალიარის" მაურო ესპოზიტოს ან „კიევოს" ფრანკო სემიოლის სთხოვენ. სხვათა შორის, როგორც ერთი ასევე მეორე, რომაელთა ახალი აღმოჩენა არ გახლავთ, მათ შესახებ ხსენებულ კლუბებთან და მათ აგენტებთან ზაფხულშიც იყო საუბარი, თუმცა ისიც სანახავია, ამ ორი მოთამაშიდან რომელს რა მინუსი აქვს. პასუხი ზედაპირზეა — სემიოლომ „კიევოს" მაისურით სოფიის „ლევსკის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში ითამაშა და, ამ სეზონში, ევროპულ შეჯიბრებაში სხვა გუნდის სახელით ველარ გამოვა.

რაც შეეხება დაცვას, კლუბის სპორტული დირექტორი დანიელე პრადე „ფლუმინენსეში" მოთამაშე ბრაზილიელი მარსელოს ან ტულუზელი ფრანგის ჟერემი მატიოს ყიდვას ფიქრობს, ოღონდ ერთია, მარსელო ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა კარლოს დუნგამ ეროვნულ გუნდში მიიწვია და, ბუნებრივია, „ფლუმინენსე" მაზანდას აწევს. გარდა ამისა, ამ 22 წლის ფეხბურთელთან დაკავშირებით არის მეორე პრობლემაც, მისი ყიდვა „მილანსაც" უნდა. მოკლედ, ყველაფერი მოხერხებაზე და დასწრებაზეა.

პაპუნა კედია

ბონჯორნო, მასიმო! ვიფიქრეთ მორატის ხელში ჩაარტყა

ვეტერანი იტალიელი ფორვარდი კრისტიან ვიერი ძალიან გაბრაზდა, როცა გაიგო, რომ თურმე „ინტერში" ყოფნისას მას, კლუბის მფლობელ მასიმო მორატის დაქირავებული პიროვნება უთვალთვალებდა.

„ძალიან განაწყენებული ვარ და მინდა, ვიცოდე, თუ რატომ მოიქცა მორატი ასე. ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა და ამგვარ რამეს ნამდვილად არ ველოდი. ალბათ ჩემი ცხოვრების 6 წელი და 133 გოლი საკმარისი არ იყო, რომ „ინტერის" ნდობა მომეპოვებინა" — თქვა ბობომ.

ბერგამოს „ატალანტას" ფორვარდმა იტალიის ფეხბურთის ფედერაციასაც კი მიმართა, რათა საქმეში კარგად გაერკვეს და გამორიცხული არ არის, მორატის უჩიელოს კიდეც.

„კრისტიანი ძალიან გაბრაზებულია და ამ ამბავზე თვალს ვერ დახუჭავს. თუმცა მას შურისძიება არ ამოძრავებს, უბრალოდ, უნდა, კარგად გაერკვეს სიტუაციაში და გაიგოს, თუ რატომ აფათურებდნენ ხელებს მის პირად ცხოვრებაში" — აღნიშნა ვიერის ადვოკატმა დანილო ბონჯორნომ.

გიორგი ძაძაბაძე

კანავაროები ნეაპოლიდან

ფაბიო კანავაროს ოცნება და მიზანი, კარიერის „ნაპოლიში" დასრულებაა. ამის შესახებ ამჯერად მისმა უმცროსმა ძმამ, პაოლომ, ისაუბრა, რომელიც სწორედ „ნაპოლიში" ირიცხება. შეგახსენებთ, რომ ძმები კანავაროები ნეაპოლიდან არიან და ფაბიოსაც სურს, თავის წარმატებულ კარიერას წერტილი მშობლიურ კლუბში დაუსვას.

პაოლო კანავარო: „ფაბიოს მართლაც ძალიან უნდა კარიერის „ნაპოლიში" დასრულება. ეს ადვილი არ იქნება, რადგან იგი უკვე 33 წლისაა და „რეალთან" კიდევ სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, თუმცა ყველას გვაქვს იმედი, რომ მისი ოცნება ახდება".

„ნაპოლი" სერია **B**-ს ერთ-ერთი ფავორიტად ითვლება და ნეაპოლელებს დიდი იმედი აქვთ, რომ სერია **A**-ს დაუბრუნდებიან. თუმცა კლუბმა სეზონი არც ისე დამაჯერებლად დაიწყო. უმცროსი კანავარო ოპტიმისტურადაა განწყობილი, მაგრამ არც რეალობის გრძნობას კარგავს და იცის, რომ მის გუნდს ძალიან გაუჭირდება.

„ჩვენ ყველა პირობა გვაქვს, რომ სერია **A**-ს საგზური მოვიპოვოთ. ამ გუნდით უმაღლეს ლიგაშიც კარგად ვითამაშებთ, თუმცა ჩვენს გარდა სერია **B**-ში სხვა ძლიერი კლუბებიც არიან და მძიმე ბრძოლა გველის. ფანებს მხარდაჭერასა და მოთმინებას ვთხოვ. მჯერა, მიზანს მივაღწევთ" — თქვა პაოლომ.

კოკი კანდელაკი

კლოზეს ნულიდან დათვლა უყვარს



მიროსლავ კლოზემ იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას მიუნხენის „ბაიერნში" გადასვლა უარყო. „ვერდერის" თავდამსხმელმა, რომელიც 5 დეკემბერს ჩემპიონთა ლიგაზე „ბარსელონას" უნდა შეერკინოს, „შპორტ-ბილდთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ სამომავლოდ მისი მიზანი კატალონიურ გრანდში, ან მადრიდის „რეალში" გადასვლა იქნება.

„ბაიერნი" დიდი გუნდია, თუმცა როცა „ვერდერიდან" წასვლაზე ვიფიქრებ, უპირატესობას რომელიმე უცხოურ კლუბს მივანიჭებ. სადაც ვითამაშე, ყველა გუნდში საქმე ნულიდან დავიწყე და ბოლომდე მივიყვანე, ახლა კი ცუდი არ იქნება, მსგავსი რამ „ბარსელონაში", ან მადრიდის „რეალში" ვცადო" — უთხრა „შპორტ-ბალდს" მუნდიალის მთავარმეგოლემ. შეგახსენებთ, რომ 28 წლის კლოზეს „ვერდერში" ყოფნა კონტრაქტით 2008 წლამდე უწევს.

ლადო ხომერიკი

ძველი და ახალი: რეალი მეორდება

ხუთ თამაშში 11 ქულა. ზუსტად იგივე იყო ათი წლის წინაც, როდესაც მადრიდის „რეალს“ დღევანდელის მსგავსად ფაბიო კაპელო ედგა სათავეში. იმ სეზონში იტალიელმა მწვრთნელმა „რეალი“ ესპანეთის ჩემპიონი გახადა. რა მოხდება ახლა? ამ კითხვაზე პასუხისთვის მაისამდე მოცდა მოგვიწევს, თუმცა დრო უქმად რომ არ დავკარგოთ, მოდი ვნახოთ რა დარჩა კაპელოს ათი წლის წინანდელი „რეალიდან“.

ათი წლის წინ „რეალი“ რომ ჩემპიონი ხდებოდა 42-ე ტურში გახდა ცნობილი. გუნდმა საბოლოოდ 92 ქულა დააგროვა. მაშინ „სამეფო გუნდის“ თეთრი მაისური ეცვათ პრედრაგ მიატოვიჩს, დავორ შუკერს, რობერტო კარლოსს, კლარენს ზეედორფს, კრისტიან პანუჩის... მას შემდეგ „რეალი“ ძალიან შეიცვალა. ძველებს თავი რომ დავანებოთ, მადრიდში ახლახან ჩავიდნენ ფაბიო კანავარო, ემერსონი, მაჰამადუ დიარა, რუუდ ვან ნისტელროი და ხოსე ანტონიო რეიესი. მაშინდელი ხუთი ტურის შემდეგ „რეალი“ მესამეზე იყო, ახლა მეოთხეზეა. გატანილ-გაშვებულთა ბალანსიც, კაცმა რომ თქვას, დიდად არ შეცვლილა — მაშინ 9:4 იყო, ახლა 8:2-ია. გამარჯვებათა და ფრეთა რაოდენობა 2006-07 წლებში ზუსტად იგივეა, 1996-97-ში რომ იყო — 3 მოგება და 2 ფრე. ერთი ეგ არის, მაშინ ორივე ფრე კაპელოს გუნდმა სტუმრად ითამაშა, ახლა კი შინ, „სანტიაგო ბერნაბეუზე“.

1996-97	
დეპორტივო — რეალი	1:1
რეალი — ერკულესი	3:0
ბეტისი — რეალი	1:1
რეალი — რაიო ვალეკანო	1:0
ოვიედო — რეალი	2:3
2006-07	
რეალი — ვილიარეალი	0:0
ლევანტე — რეალი	1:4
რეალი — სოსიედადი	2:0
ბეტისი — რეალი	0:1
რეალი — ატლეტიკო	1:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპელოსთან სკამზე, დუნგასთან ფეხზე

ბრაზილიელი რობინიო პარადოქსულ რკალში მოექცა — კარლოს დუნგას ნაკრებში სულ ძირითადში ხვდება, ხოლო ფაბიო კაპელოს მადრიდის „რეალში“ სათადარიგოთა სკამზე ყურყუტი აქვს გამოწერილი. ამის გამო მედიაში, რობინიოს მადრიდიდან შესაძლო წასვლის შესახებ ბევრს საუბრობენ. ამბობენ, რომ ბრაზილიელის შეძენით იტალიური „იუვენტუსი“ და „მილანი“ არიან დაინტერესებულნი. თუმცა თავად ფეხბურთელი „რეალიდან“ წასვლას უარყოფს. რობინიო ახლა სამშობლოშია, ნაკრებთან ერთად ემზადება და მალე ამხანაგური მატჩის სათამაშოდ ქუვეითს უნდა გაემგზავროს. „რეალის“ დატოვებაზე არასდროს არ მიფიქრია. შეუპოვრად ვივარჯიშებ, რათა კაპელო ჩემს სიძლიერეში დარწმუნდეს. სეზონი დიდხანს გრძელდება და თავის გამოჩენის შესაძლებლობა თითოეულ რეალელს მიეცემა. მე და ჩემი ოჯახი მადრიდში ბედნიერები ვართ“ — უთხრა ფორვარდმა ბრაზილიაში მასთან ჩასულ მადრიდული „ასის“ კორესპონდენტს.

ესპანელ ჟურნალისტთან რობინიოს წარმომადგენელმა ვაგნერ რიბეირუმაც ისაუბრა. „რობინიო მშვიდადაა, რადგანაც იცის, რომ მსოფლიოს საუკეთესო კლუბს ეკუთვნის. მას დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ რობინიოს კონკურენციას რონალდო, კასანო, ვან ნისტელროი და რაული უწევენ. „რეალში“ ადგილის მოპოვება მხოლოდ დროის განმავლობაში და დიდი შრომის ფასად შეიძლება“ — თქვა სეუ ჟრიბეირუმ.

ბრაზილიელი მოიერიშე პრიმერადივიზიონის ბოლო ორ მატჩში მოედანზე ერთი წუთითაც არ შესულა. თუმცა, რობინიო დანებებას არ აპირებს და ამბობს, ადრე თუ გვიან ჩემი ჯერიც მოვაო. „ო გლობოს“ ცნობით კი ბრაზილიელი გულშემატკივრები კაპელოს „სიბრმავით“ აღშფოთებულნი ყოფილან, იქაურთა თქმით, რობინიო მალე საცაა რონალდინიოს აჯობებს და გაუგებარია, დონ ფაბიო ექსსანტოსელს რატომ ჩაგრავსო.

ლადო ხომერიკი

ხუთიათასად დავწვებით

მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებით გერმანიაში ახალი ფაქტები ამოქექეს. ეჭვმიტანილია 11 კაცი, მათ შორის სამი ფეხბურთელი, საქმეს კი ფრანკფურტის სასამართლო იძიებს. ეჭვმიტანილებს ბრალად ედებათ ხელების ფათური ავსტრიის პირველი დივიზიონისა და გერმანიის რეგიონალლიგის თამაშებში. პროკურორ შილკე ჰუტიგის განცხადებით, დამნაშავეები 2005 წლის ზაფხულიდან ამ წლის მარტამდე „საქმიანობდნენ“.

11 კაცში არის 43 წლის მავანი სერბი, ყოფილი ფეხბურთელი და შემდგომში მწვრთნელი, ერთი ფეხბურთელი გერმანიის სამხრეთრეგიონალლიგის გუნდიდან, ორი „ერფურტიდან“ და ერთიც „ბაიროითიდან“.

გამომძიებელმა თქვა, რომ ფეხბურთელებმა ქრთამი, 5 000 ევრო აიღეს და მეტოქეს „დაუწვნენ“ ანუ ცუდად ითამაშეს. გარდა ამისა, 10 ათასი კიდევ ჩაჯიბეს იმის სანაცვლოდ, რომ ყვითელ ბარათს მიიღებდნენ, ან მოწინააღმდეგეს პენალტს გაუხერხებდნენ.

ბოლოს კი გავიხსენოთ, რომ ერთი წლის წინ, მატჩების გარიგებასთან დაკავშირებულ სკანდალში მსაჯი რობერტ ჰოიზერი ამხილეს, რომელმაც დანაშაული აღიარა და 2 წელი და ხუთი თვე ციხე მიუსაჯეს.

რობერტ ჰოიზერი

გიორგი დარჯანია

ოთავს უშველეთ!

არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა ალფიო ბასილემ კარლოს ტევესს და ხავიერ მასკერანოს ურჩია, რაც შეიძლება მალე აიბარგონ „ვესტ ჰემიდან“. წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე ფეხბურთელი ეროვნულ გუნდში ადგილს დაკარგავს.

„ვიმედოვნებ, რომ ისინი „ჩაქუჩებიდან“ სხვა კლუბში გადავლენ. რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება მათთვის — განაცხადა პატაგონიელთა თავკაცმა — ვშიშობ, რომ ფორმიდან ამოვარდებიან და ნაკრები ორ კარგ მოთამაშეს დაკარგავს. ღმერთის წყალობით, ხავიერ მასკერანოს „იუვენტუსში“ გადასვლის ვარიანტი გამოუჩნდა და შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას. თუნდაც სერია B-ში იყოს, ოღონდ ძირითად შემადგენლობაში. რაც შეეხება ტევესს, შეტევაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში, გარდა მარცხენა ფლანგისა, სადაც მას „ვესტ ჰემში“ ათამაშებენ“.



შეგახსენებთ, რომ ხავიერ მასკერანო და კარლოს ტევესი, აგვისტოს ბოლოს, მოულოდნელად „ვესტ ჰემში“ გადავიდნენ დიდი ზარ-ზეიმით, მაგრამ ამ ტრანსფერის შემდეგ „ჩაქუჩებს“ ერთი მატჩიც არ მოუგიათ. შედეგად ცხრილის იმ ნაწილში აღმოჩნდნენ, საიდანაც ქვედა დივიზიონი ხელის გაწვდენაზეა. ორივე არგენტინელს იშვიათად და თან შეცვლაზე ათამაშებენ.

ირაკლი ნინიძე

როდემდე?



კალდერონმა აბრამოვიჩი დაანამუსა

„რეალის“ პრეზიდენტი რამონ კალდერონი შეშფოთებულია, „ჩელსის“ პატრონი რომან აბრამოვიჩი ტრანსფერებში მილიარდებს რომ ხარჯავს. სენიორ კალდერონის აზრით, აბრამოვიჩის ფულუხვობა დანარჩენ კლუბებს პრობლემებს შეუქმნის.

„ჩელსი“ ტრანსფერებში უზომოდ ბევრ ფულს იხდის, ხოლო ფეხბურთელებზე ფასის აწევა, ჩემი აზრით, უკვე პრობლემაა. ლონდონელებს კონკურენცია ხომ უნდა გავუწიოთ. თავად აბრამოვიჩმა აღიარა, რომ გასულ სეზონში 220 მილიონი ევრო, პრაქტიკულად, იზარალა. ეს ძალიან შემაშფოთებელია. მაინტერესებს, აბრამოვიჩი და მისი ბანაკი დიდ ფეხბურთში რამდენ ხანს დარჩება“ — განაცხადა რამონ კალდერონმა.

ლონდონელთა ბანაკმა მადრიდელებს „ჩელსის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებული წერილით უპასუხა, რომელშიც ფინანსურ ოპერაციათა დამალვა-გაუმჭვირვალობაში თავად კალდერონის „რეალს“ ადანაშაულებენ. ამასთანავე, „ჩელსის“ წარმომადგენლები კვლავაც რომან აბრამოვიჩის ფინანსური კურსის ერთგულნი რჩებიან.

„პრეზიდენტმა აბრამოვიჩმა მარტო „ჩელსისთვის“ კი არა, მსოფლიოს ფეხბურთისთვის ფასდაუდებელი რამ გააკეთა. დახარჯული ფული ფეხბურთს მოხმარდა. მართალია, ჩვენ შარშანდელ სეზონში ფინანსურად ძალიან წავაგეთ, მაგრამ ეს აღარ განმეორდება. „ჩელსის“ ფინანსური სიტუაცია ნათელია და, მადრიდის „რეალისგან“ განსხვავებით, დასამალი არაფერი გვაქვს“ —თქვა „ჩელსის“ პრესმდივანმა საიმონ გრინბერგმა.

მისტერ გრინბერგის თქმით, „სტემფორდ ბრიჯის“ კლუბი ფეხბურთელების ფასს არ სწევს და სატრანსფერო ოპერაციების დროსაც ხშირად სხვაზე მეტად ზარალდება.: „სატრანსფერო ბაზარი თავისუფალია, ხალხი იმდენს იხდის, რამდენიც შეუძლია. ხანდახან კი ვგრძნობთ, რომ, რადგან „ჩელსი“ ვართ, სხვაზე მეტის გადახდას გვავალდებულებენ. კლუბებს ჩვენს ფინანსურ სიძლიერეზე გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ და ტრანსფერების დროს ფანტასტიკურ თანხებს გვთხოვენ.“

ლადო ხომერიკი

ჰეი მაგას!

ინგლისისგან შეყრილი ესპანური ულტრაისტორია

ესპანური გუნდების ფანობა დიდსაფეხბურთო ევროპისთვის ჯერ კიდევ შეუსწავლელი თემაა. ცხადია, ისეთ საფეხბურთო ქვეყანაში, როგორიც ესპანეთია, ცალკეული კლუბების გულშემატკივრები ყოველთვის არსებობდნენ, თუმცა მეოცე საუკუნის დასაწყისში და შემდგომ ფრანკოს დიქტატურის დროს, ქომაგობას ორგანიზებული ხასიათი არ ჰქონდა.

გასული საუკუნის 20-30-იან წლებში (როცა პირინეებზე ფეხბურთი სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა ხდებოდა) ესპანეთს რევოლუციები და სამოქალაქო ომი სტანჯავდა, ამიტომაც იქაურებმა ბურთს და ბოდანს მაშინ ჯეროვნად ვერ მიხედეს. დიქტატორ ფრანკოს რესპუბლიკელებზე გამარჯვების შემდეგ კი მთელ ქვეყანას მოჩვენებითი სიმშვიდის და წესრიგის ჯავშანი ჩამოეფარა, სტალინის „რკინის ფარდის“ მსგავსი, ოღონდ ამ შემთხვევაში „ფარდა“ ბოლშევიკური არ ყოფილა, ფაშისტური გახლდათ... ინჩასური ვნებები კი ავტორიტარულ, მკაცრი რეჟიმებისას ვერ ბობოქრობენ, აბა, ვინ გაბედავდა, სტადიონზე კლუბის დროშის ფრიალით და ექსტრემისტული შეძახილებით ფრანკისტული წყნარი ჯოჯოხეთის სიჩუმე დაერღვია... თუმცა დიქტატორი ბოლოს და ბოლოს ისტორიას მიბარდა, ხუნდებაყრილმა ცხელსისხლიანმა პირინეელებმაც გაილაღეს და ესპანეთში ფანატთა კორიდაც დაიწყო. არსად მსოფლიოში ისე არ ქომაგობენ, როგორც აქ, მუდმივი პოლიტიკური ვნებათაღელვით ამღვრეულ სახელმწიფოში. საარაკოა ინგლისელთა ფანობა, იტალიელი ტიფოზები და სამხრეთამერიკელი ინჩასებიც ლეგენდარულნი არიან, თუმცა ინგლისშიც, აპენინებზეც და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებში ქომაგთა დაპირისპირება უფრო სპორტულ ნიადაგზე ხდება, ვიდრე პოლიტიკურზე, ან იდეოლოგიურზე. ესპანეთში ბასკი ვალენსიელს ეომება, ორივე ერთად კი მადრიდელს და ასე გლეჯენ ერთმეორეს მონარქიის და „საერთო ესპანური იდეის“ კედელს ამოფარებულები. მოკლედ, ჯობს ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

ფანთა მაღვიძარა მუნდიალი

1982 წელს ესპანეთში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა. ეს ყველამ კარგად იცის, თუმცა საეჭვოა, პირინეებს გარეთ ისიც დეტალურად იცოდნენ, შინაურმა მუნდიალმა ფრანკიზმისგან ახალ გათავისუფლებულ ქვეყანას რა სიახლე მოუტანა. იქამდე ადგილობრივებს გულშემატკივრობა სხვანაირად ესმოდათ. კი, ბასკურ „სან მამესზე“ და კატალონიურ „კამპ ნოუზე“ „თავხედურ“ ლოზუნგებს ადრეც გაჰყვიროდნენ, მაგალითად, „გორა ეუსკადი ტა ასკატასუნა“ (გაუმარჯოს თავისუფლებას და ბასკთა სამშობლოს)! ან კიდევ: „ვისკა ელ კატალუნია, ფრანკო მიერდა“ (გაუმარჯოს კატალონიას, ძირს ბინძური ფრანკო)! მაგრამ ეს იყო და ეს. მსოფლიოს ჩემპიონატამდე ხალხი სტადიონზე მართლა საქომაგოდ მიდიოდა, ლუდს სვამდნენ, ერთმანეთს ესაუბრებოდნენ და ფეხბურთელებს შეძახილებით ამხნევებდნენ — არავითარი მასობრივი ჩხუბები და თავპირისმტვრევა მაშინ არ იმართებოდა. 1982 წელს კი ყველაფერ ამას უცხოელმა ფანებმა წერტილი დაუსვეს.

მუნდიალზე ესპანეთში ოქროს თასისთვის ჩასული ნაკრებების გულშემატკივრები „უცნაურად“ იქცეოდნენ. გაოცებული შესცქეროდნენ ესპანელები ეროვნული დროშის ფერებით „სახედამშვენებულ“ მთვრალ ინგლისელებს, ფანატიკოს გერმანელებს, გიჟ იტალიელებს და ასე შემდეგ. ყველაზე უჩვეულო კი ის გახლდათ, რომ გადამთიელები აგრესიულად იქცეოდნენ, მატჩების შემდეგ ქუჩებს მოედებოდნენ და ყველაფერს ლეწავდნენ... განსაკუთრებული არეულობები ბილბაოში მოხდა, უცხოელებმა ჯერ „სან მამესის“ სტადიონი აიკლეს და მერე მარბიელი ურდოსავით ქუჩები და მაღაზიის ვიტრინები გაავერანეს... ცხადია, შემოსევა უპასუხოდ არ დარჩებოდა და მასპინძელმა, მაშინ ჯერ კიდევ არაორგანიზებულმა ბასკ ინჩასთა არმიამ, გალეშილი „ბარბაროსები“ კარგა გვარიანად დაასისხლიანა. სისხლი სისხლად და მუნდიალის მასპინძლებმა დანარჩენი მსოფლიოსგან ახალი ამბავი გაიგეს — თურმე საფეხბურთო მატჩების დროს ჩხუბი შეიძლება! შეგიძლია, თუ კატალონიელი ხარ, საძულველ მადრიდელს თამაშის მერე ფერდებში უბრაგუნო და ტრიბუნაზე, ძველ დროსავით მარტო თეთრი ცხვირსახოცი კი არა, მუშტი და ჯოხიც კარგად დაატრიალო.

როგორც ნაწვიმარზე სოკო, ისე გამოჩნდნენ მუნდიალისშემდგომ ესპანეთში ფანთა აგრესიული დაჯგუფებები: „ბოიშოს ნოისი“ („ბარსელონა“), „ულტრას სური“ („რეალი“), „ფრენტე ატლეტიკო“ („ატლეტიკო“), „საპორტერს სურ“ („ბეტისი“) და რომელი ერთი გნებავთ... კლუბები თავიდან ინჩასთა არმიებისადმი სიმპათიით იყვნენ გამსჭვალულნი, უსახო, მშვიდობიანი გულშემატკივრობა სადღაც გაქრა და ფრანკოსდროინდელი წყნარი მოქალაქეების ნაცვლად ტრიბუნებზე ინდიელებივით სახეშეღებილი, მშობლიური კლუბის მაისურებში გამოწყობილი ფანები გამოჩნდნენ დოლებით, დროშებითა და ინგლისური სუბკულტურის სხვა ატრიბუტებით შეიარაღებულები. თუმცა, ესპანეთი ინგლისი ვერასდროს გახდება, პოლიტიკით მოწამლულ პირინეელთა სისხლს მარტო წმინდა საფეხბურთო ვნებები ვერ აკმაყოფილებს. ასე მაგალითად, როცა 1992 წელს „ბარსელონამ“ ჩემპიონთა თასი მოიგო, კატალონიელებმა სრულიად სერიოზულად მოითხოვეს ესპანეთის დედაქალაქი მადრიდიდან ბარსელონაში გადაეტანათ, ხოლო პრიმერადივიზიონში „ბეტისის“ გამარჯვებამ ესპანეთის ორი წამყვანი პოლიტიკური პარტია ერთმანეთს დანასისხლად გადაჰკიდა — „ბეტისის“ პრეზიდენტი რომელ მათგანს მიეკუთვნებოდა, ვერაფრით გაარკვიეს... პოლიტიკა ესპანეთში ყველაფერია და ამ ყველაფერში ინჩასთა მტრულად განწყობილი მეომრული ბრიგადებიც შედიან.

ლადო ხომერიკი

გაგრძელება იქნება

პიტერ კრაუჩს ასფალტი დაუტოვეს

პიტერ კრაუჩს ტაქსში ჩაჯდომამ მოუწია, ვინაიდან ვარჯიშიდან გამოსულს თავისი 100 ათასიანი „ასტონ მარტინი“ აღარ დაუხვდა: ქურდებს წაეყვანათ.

აყლაყუდა ვარსკვლავი სიცილით იძლეოდა ინტერვიუს: „მგონი მანქანა უკვე იპოვეს და მოიყვანენ“.

კრაუჩს გასულ ოთხშაბათს სახლიც გაუძარცვეს. პოლიციას უკვე დაკავებული ჰყავს ოთხი კაცი, რომლებიც „ლივერპულის“ ფეხბურთელთა სახლებს ძარცვავდნენ. ამ სიაში დანიელ აგერი და ირჟი დუდეკიც მოყვნენ.

„მაშინ „გალათასარაის“ ორი გოლი გავუტანე, შინ მივედი და სახლში აღარაფერი დამხვდა — თქვა კრაუჩმა, — ხასიათიც კი წამიხდა, მაგრამ ახლა მეცინება“.

ირაკლი გამყრელიძე

ქვიშნარი ბარსასთვის

ეს ჟოზე მაურინიუ გადარევს ამ კატალონიელებს.

შარშან ხომ ერთი ამბავი იყო, ტექნიკურ ბარსელონელებს განგებ წამხდარი მოედანი დაახვედრაო. ჰოდა, მათი სალიგო თამაში ახლაც მოახლოვდა.

„სტემფორდ ბრიჯზე“ უკვე ტონობით ქვიშა შეზიდეს და ზედ ტრაქტორებს დაატარებენ. ახლა რას ამზადებს, ძნელი სათქმელია.

ორი დიდი გუნდის შეხვედრამდე ორი კვირა დარჩა, მინდორს კი კვლავ რაღაც უცნაურობებს უმზადებენ.

ის ლონდონური თამაში „ბარსამ“ მოიგო. შარშან კი მაურინიუმ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, რახან ცრუ ამბავი ატეხა „კამპ ნოუზე“. ფრანკ რაიკარდი შესვენებაზე მსაჯ ანდრეს ფრისკს კერავდაო.

ირაკლი გამყრელიძე

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. III ტური. დღეს

A ჯგუფი

ყაზახეთი — პოლონეთი
სომხეთი — ფინეთი
სერბეთი — ბელგია
პორტუგალია — აზერბაიჯანი

ფინეთი	2	1	1	0	4:2	4
სერბეთი	2	1	1	0	2:1	4
ბელგია	2	1	1	0	1:0	4
ყაზახეთი	2	0	2	0	1:1	2
პორტუგალია	1	0	1	0	1:1	1
აზერბაიჯანი	2	0	1	1	1:2	1
პოლონეთი	2	0	1	1	2:4	1
სომხეთი	1	0	0	1	0:1	0

C ჯგუფი

მოლდოვა — ბოსნია
უნგრეთი — თურქეთი
საბერძნეთი — ნორვეგია

ნორვეგია	2	2	0	0	6:1	6
უნგრეთი	2	1	0	1	4:5	3
თურქეთი	1	1	0	0	2:0	3
საბერძნეთი	1	1	0	0	1:0	3
ბოსნია	2	1	0	1	6:5	3
მოლდოვა	2	0	0	2	0:3	3
მალტა	2	0	0	2	2:7	0

D ჯგუფი

უელსი — სლოვაკეთი
ჩეხეთი — სან მარინო
კვიპროსი — ირლანდია

გერმანია	2	2	0	0	14:0	6
ჩეხეთი	2	2	0	0	5:1	6
სლოვაკეთი	2	1	0	1	6:4	3
უელსი	1	0	0	1	1:2	0
ირლანდია	1	0	0	1	0:1	0
კვიპროსი	1	0	0	1	1:6	0
სან მარინო	1	0	0	1	0:13	0

E ჯგუფი

რუსეთი — ისრაელი
ინგლისი — მაკედონია
ხორვატია — ანდორა

ინგლისი	2	2	0	0	6:0	6
ისრაელი	2	2	0	0	5:1	6
მაკედონია	2	1	0	1	1:1	3
ხორვატია	1	0	1	0	0:0	1
რუსეთი	1	0	1	0	0:0	1
ესტონეთი	2	0	0	2	0:2	0
ანდორა	2	0	0	2	1:9	0

F ჯგუფი

დანია — ჩრდ. ირლანდია
ლატვია — ისლანდია
შვედეთი — ესპანეთი

შვედეთი	2	2	0	0	4:1	6
დანია	1	1	0	0	2:0	3
ისლანდია	2	1	0	1	3:2	3
ჩრდ. ირლანდია	2	1	0	1	3:5	3
ესპანეთი	2	1	0	1	6:3	3
ლატვია	1	0	0	1	0:1	0
ლიხტენშტაინი	2	0	0	2	1:7	0

G ჯგუფი

რუმინეთი — ბელარუსი
ბულგარეთი — ჰოლანდია
სლოვენია — ლუქსემბურგი

ჰოლანდია	2	2	0	0	4:0	6
ბულგარეთი	2	1	1	0	5:2	4
რუმინეთი	2	1	1	0	4:2	4
ალბანეთი	2	0	1	1	2:4	1
ბელარუსი	2	0	1	1	2:5	1
ლუქსემბურგი	1	0	0	1	0:1	0
სლოვენია	1	0	0	1	0:3	0

სარბიელი ᲓᲐ კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I ლიგა						
		7 ოქტომბერი						
15:15	6	ნიტინგემი-სანთორპი	1.60	3.50	5.30	1.09	1.22	2.10
16:00	7	ბრედფორდი-ადერსფილდი	1.85	3.30	3.65	1.18	1.22	1.73
18:00	8	ლეიტონი-ნესტერფილდი	2.45	3.20	2.60	1.38	1.26	1.43
18:00	9	ბრენტფორდი-ბრისტოლი	2.60	3.20	2.40	1.43	1.24	1.37
17:00	10	კარლაილი-მილუოლი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
18:00	11	ქრიუ-ჯილინგემი	1.85	3.20	3.85	1.17	1.24	1.74
		8 ოქტომბერი						
16:30	12	ბრაიტონი-ბლეკპული	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
17:00	13	პორტ ვეილი-როტერჰემი	1.85	3.30	3.75	1.18	1.23	1.75
		ინგლისი. II ლიგა						
		7 ოქტომბერი						
17:00	19	შენსფილდი-ნორხი	2.50	3.00	2.60	1.36	1.27	1.39
18:00	21	ფრინგტონი-სუინდონი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
18:00	22	რიდერსი-ბოსტონი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
18:00	23	სტოკპორტი-ბარნეტი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
		8 ოქტომბერი						
19:00	25	გრიმსბი-პერეფორდი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		ინგლისი. კონფერენსი						
		7 ოქტომბერი						
16:00	39	ქრიუელი-მორეკამბი	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
17:00	40	საუთპორტი-სტ.ალბანსი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
16:00	42	ალტრინჩემი-ეიმეუთი	2.50	3.30	2.50	1.42	1.25	1.42
18:00	43	დიგ ენდ რედი-ნორთვიჩი	1.60	3.00	5.30	1.04	1.22	1.91
18:00	46	ექსეტერი-ჰალიფაქსი	1.70	3.30	4.60	1.12	1.24	1.92
18:00	48	გრეივსენდი-კემბრიჯი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
16:00	49	კიდერმინსტერი-გრეთხი	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35
		8 ოქტომბერი						
18:00	38	ტეშეორთი-სტ.რეინჯერსი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		7 ოქტომბერი						
17:45	568	ელგინი-ისტ ფაიფი	5.50	3.70	1.50	2.21	1.17	1.06
		შვეიცარია. ჩემპიონატი						
		7 ოქტომბერი						
19:30	57	ში დე ფონი-ვოლენი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
19:45	58	ოუგენრეგენი-ბოლში	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
21:30	60	კიასო-ქსამაქსი	2.50	3.10	2.50	1.38	1.25	1.38
		8 ოქტომბერი						
16:30	59	ვილი-ვინტერთური	2.00	3.20	3.25	1.23	1.23	1.61
16:30	61	ბელინცონა-ლუგანი	1.95	3.20	3.35	1.21	1.23	1.63
16:30	62	ლუცერნი-ბრინი	4.40	3.40	1.65	1.91	1.20	1.11
17:00	63	სერვეტი-კოსტორდია	2.55	3.20	2.40	1.41	1.23	1.37
18:00	64	ლიზანი-ლოკარნი	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
		იტალია. სერია B						
		8 ოქტომბერი						
17:00	66	ალბინოლეფე-სპეზია	2.15	2.70	3.65	1.19	1.35	1.55
17:00	70	ჯენოა-არეზო	1.50	3.30	7.50	1.03	1.25	2.29
17:00	72	მანტოვა-ვინჩენცა	1.65	2.90	6.30	1.05	1.30	1.98
17:00	73	მოდენა-ჰელეარა	1.75	2.80	5.50	1.07	1.32	1.85
17:00	74	ნაპოლი-რიმინი	1.60	3.20	6.00	1.06	1.26	2.08
17:00	75	ტრევიზო-პიაჩენცა	1.95	2.70	4.50	1.13	1.36	1.68
17:00	76	ვერონა-კრეტონე	1.80	2.80	4.80	1.09	1.30	1.76
		9 ოქტომბერი						
22:45	67	ბარი-ბოლონია	2.55	2.70	2.80	1.31	1.33	1.37
		იტალია. სერია C1/A						
		7 ოქტომბერი						
17:00	85	პრო სესტო-კრემონეზე	2.00	2.60	4.00	1.13	1.33	1.57
		8 ოქტომბერი						
17:00	78	ხეტადელა-ნოვარა	1.75	2.70	5.30	1.06	1.31	1.78
17:00	79	გროსეტო-ლუკეზე	2.50	2.60	3.00	1.27	1.36	1.39
17:00	80	ივრეა-პინეა	3.10	2.60	2.40	1.41	1.35	1.24
17:00	81	პ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:00	213	ინტერსანიოხალა-სან ჯეკანი	1.30	4.20	8.00	1.00	1.11	2.75
23:00	214	სანტა კრუზი-პარანა	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
23:00	215	პალმეირასი-ფლამენგო	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
23:45	216	ფიგეირენსე-ბაიაფიგო	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
23:00	217	გოიასი-კორინთიანი	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
23:45	218	სანტოსი-ვასკო	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
		ამხანაგური მატჩები						
		7 ოქტომბერი						
23:00	243	კეკეტი-ბრაზილია	15.00	6.00	1.13	4.28	1.05	1.00
		8 ოქტომბერი						
13:30	244	ავსტრალია-პარაგვაი	2.10	3.00	3.25	1.23	1.27	1.55
14:00	245	სამხრეთ კორეა-ეგვიპტე	2.15	3.00	3.10	1.25	1.26	1.52
23:45	246	იამაიკა-კანადა	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
		პოკერი. შვედეთი						
		7 ოქტომბერი						
17:00	347	ფერიეტერადი-ბკ 71	1.80	4.20	2.70	1.25	1.08	1.64
17:00	348	მალმიოიგ	1.50	4.30	3.30	1.11	1.03	1.86
17:00	349	ჰირა-ლულეა	1.90	4.20	2.35	1.30	1.05	1.50
17:00	350	იუნგბოდენი-ტიბრე	2.10	4.00	2.20	1.37	1.07	1.41
17:00	351	ფრიიდლუნდა-ბრიუნესი	1.80	4.10	2.60	1.25	1.06	1.59
		პოკერი. ფინეთი						
		7 ოქტომბერი						
19:30	366	ლუკო-ჰა

დუდუ დადიანის მემორიალი

მემორიალური აზოტი

საკანდელიძე-ქორქია და ახლა დადიანი

6 ოქტომბერი. ვერის ბაღი

აზოტი 85:69 ავიამშენი

22:19 16:10 16:23 31:17

აზოტი: ბოისა (8), გამყრელიძე (13), უგრეხელიძე (5), ბეჟანიშვილი (14), ტუღუში (34), გოგობერიშვილი (4), მარკოიშვილი (2), დიდია, ტუჯანი (5)

ავიამშენი: კეიდია (17), ი. ბერიშვილი (4), დ. ბერიშვილი (9), ხოშტარია (7), როდუმტა (12), ბაბიაშვილი (17), მუშკუდიანი (2), ნიკოლაძე (1)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

მე-3 ადგილისთვის

თსუ 83:75 დინამო

მე-5 ადგილისთვის

მაკაბი 95:75 სტუ

დუდუ დადიანის თასს ხელი ახალმა გუნდმა შეავლო. რუსთავის „აზოტმა" ტრაგიკულად დაღუპული კალათბურთელის მემორიალი პირველად მოიგო და მწირ ტიტულთა ზარდახშა ოდნავ შეავსო. ესაა ქვემოქართლელთა მეორე ტიტული — „აზოტმა" გასულ ზამთარს ასევე მემორიალური ტურნირი მოიგო, ოღონდ მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის.

რუსთაველთა საქმე ისე იყო, რომ ტურნირის დაწყებამდე თითქმის ყველამ იცოდა, რომ ისინი გაიმარჯვებდნენ. ბურთი კი მრგვალია, მაგრამ, ვინც კი რუსთაველთა შემადგენლობა და თამაში ნახა, ალბათ, ძალიან ცოტა თუ არ ჩათვლიდა ამ გუნდს თასის მოგების უმთავრეს კანდიდატად. ნაკრების ოთხი წევრი და საქართველოს ჩემპიონატის რჩეული მოთამაშეები, ასევე ნაკრების მწვრთნელი და ხვავიანი სპონსორი — ეს პირობები ჩვენში არათუ ოთხდღიანი ტურნირის, არამედ ჩემპიონობის მოსაგებადაც სრულიად საკმარისია. ასე რომ, გუშინ ვერის ბაღში უცნაური არაფერი მომხდარა — მოიგო იმან, ვისაც უნდა მოეგო.

თუმც ყოველთვის არსებობს მეჯლის მეორე მხარე და ჩვენც ისე არ გამოგვივიდეს, თითქოს „ავიამშენი" უშანსოდ ყოფილიყო. არამც და არამც: ლევან მოსეშვილის გუნდს გამარჯვებაც შეეძლო, მაგრამ ვერ გაუძლო რუსთაველთა ბასრ სროლებს და ბოლო მეოთხედამდე კბილებით მებრძოლმა თეთრი დროშა ააფრიალა.

სროლები ვახსენეთ და ამ საქმეში კოტე ტუღუშს ვერავინ გაეჯიბრება. შეიძლება ითქვას, სწორედ „კოსტიამ" მოაგებინა რუსთაველებს, მაგრამ კალათბურთი ხომ გუნდური თამაშია და მოდით, სხვებსაც ნუ დავუკარგავთ გარჯას.

„აზოტმა" ჩინებულად ითამაშა დაცვაში, რაშიც ყველა რუსთაველს მიუძღვის წილი, ხოლო შეტევაში „აზოტს" კოტე ტუღუში წინამძღოლობდა. არცთუ ქულაუხვ თამაშში ტუღუშმა 34 ქულა მოიხვეჭა და იყო პერიოდები, როცა მის გარდა ბურთის ჩაგდების მარიფათი არავის ჰქონდა.

„ავიამშენმა" კი თავი მეტად შეუპოვრად წარმოაჩინა. მოსეშვილის გუნდმა არაერთხელ გააბათილა ათი და მეტქულიანი ჩამორჩენა, თუმც ბოლოს ამის გაკეთება აღარ გამოუვიდა — საფინალო სირენამ მოუსწრო.

მატჩი თანაბრად დაიწყო — ყველა ფრონტზე მშვიდობა იყო, ანუ ვერც ერთმა გუნდმა ვერ იძალა და ანგარიშიც თანაბრად იზრდებოდა. ასე გაგრძელდა საწყისი მეოთხედის შუაწელამდე და მერე დავით უგრეხელიძემ ფარქვეშიდან მოარგო გასაღები ავიატორთა კალათს, რაც ანგარიშზე უმალ აისახა — 17:9 რუსთაველთა სასარგებლოდ.

მოსეშვილმა დაჩაგრული როდუმტა მოედნიდან გაიხმო და მისი ადგილი ფარქვეშ დავით მუშკუდიანმა გაამაგრა. ქვემოქართლელთა წინა ხაზის განეიტრალებით თბილისელმა ფორვარდებმა უმალ ისარგებლეს, გამორჩეულად კი ირაკლი კეიდიამ იყოჩაღა, რომელმაც მიჯრით 7 ქულა ჩააგდო და პირველ შესვენებამდე წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა — 19:19. პირველ მეოთხედს წერტილი კოტე ტუღუშის სამქულიანმა დაუსვა და მცირე შესვენებაზე რუსთაველები მოგებულები გავიდნენ.

მეორე მეოთხედიდან რუსთაველთა უპირატესობა ცხადი გახდა. დავით უსტიაშვილმა მოედანზე სამარქაფოები გამოიყვანა, თანაც ისეთები, ნებისმიერი გუნდი სასტარტოსთვის რომ ინატრებს — გიორგი მარკოიშვილი, რამაზ გოგობერიშვილი, რევაზ დიდია, ჟოლივეტ ტუჯანი. ამ ხალხმა დაცვა გაუვალი გახადა და შეტევაში ხომ ახეირა და ახეირა რუსთაველები. ჰოდა, „აზოტმა" ტაიმის ბოლო მონაკვეთი 10:1 მოიგო და დიდ შესვენებაზე საიმედო ჰანდიკაპით გავიდა — 38:29.

მოსეშვილს რაიმე უნდა ეღონა და ეს მოიფიქრა — უკანა ხაზში ირაკლი ბერიშვილს ტყუპისცალი დავითი შეუწყვილა, რომლებსაც მხარს ირაკლი ხოშტარია უმაგრებდა, ფარზე კი ბაბიაშვილი-კეიდიას დუეტი იყო ჩასაფრებული. „აზოტმა" ძირითადი ხუთეულით შეუტია მეტოქეს, თუმც მოსეშვილის ტაქტიკურმა ცვლილებამ გაამართლა. ავიატორები უფრო სწრაფობდნენ და კონტრშეტევებით ქულებს უხვად იხვეჭდნენ, დაცვაში კი ზონას მიენდვნენ და კარგა ხანი კალათი მშრალად შეინახეს. ანგარიშმაც ლღობა იწყო და კოტე ტუღუშს რომ სამქულიანები არ გამოეცხო, „აზოტი" ჩამორჩენას ვერ ასცდებოდა. „ავიატორები" რუსთაველებს ქულით მიუახლოვდნენ, გადამწყვეტი მეოთხედის წინ კი 52:54 აგებდნენ.

ისე გამოვიდა, რომ რუსთაველებს მთელი ნაჯაფარი წყალში ჩაეყარათ და ბოლო მეოთხედთან ერთად ბრძოლაც ახლიდან დაიწყო. „აზოტი" კბილებით ინარჩუნებდა ლიდერობას. ერთი, ორი, სამი ქულით წინ იყო, მაგრამ ეს სხვაობა უსტიაშვილის გუნდს მშვიდად ყოფნის საშუალებას, ცხადია, არ აძლევდა.

„ავიამშენი" არ ტყდებოდა, სანამ ტუღუშმა და მისმა თანაგუნდელებმა სამქულიანის ხაზიდან მიზანი არ გაისწორეს. ქვემოქართლელებს სხვა გზა არც ჰქონდათ, დავით უგრეხელიძე მეხუთე პერსონალურით გავარდა და წინა ხაზში „ავიატორთა" დაჩაგვრაც გაძნელდა.

ჰოდა, შეიძლება ითქვას, რუსთაველებს გაუმართლათ. ტუღუშმა ორი სამქულიანი მიჯრით ჩააგდო, რასაც ვაკო ბეჟანიშვილმა ერთიც წაამატა და როცა ლაშა გამყრელიძესაც არ აუცდა შორი სროლა, თასის მფლობელის ვინაობაც გაირკვა. სირენამდე ორი წუთით ადრე რუსთაველთა უპირატესობამ 10 ქულას გადააჭარბა, რისი შენარჩუნებაც გამოცდილი აზოტელებისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა და... სეზონი მშვენივრად დავიწყეთ, იმედია, მომავალში კიდევ არაერთ ტიტულს მოვიპოვებთო, თქვა ნამატჩევს ფინალის გმირმა კოტე ტუღუშმა. ძნელია, არ დეთანხმო.

ირაკლი პერტაია

გუშინ დუდუ დადიანის ფოტო

ალენ აივერსონი ბარსელონურ კედელს ვერ გასცდა

NBA ევროპაში: თამაში და გართობა

აქტიურ სტადიაში გადავიდა ნბა-ს წლევანდელი აქცია, რომლის მიხედვითაც ოთხი ოკეანისგაღმური პროფესიული გუნდი ევროპაში ამხანაგურად სპარინგობს ადგილობრივ კლუბებთან. „სან ანტონიო სპურსი", „ფილადელფია სიქსერსი", „ფინიქს სანსი" და „ლოს ანჯელეს კლიპერსი" კვირაზე მეტია, შესაბამისად, ლიონში, ბარსელონაში, რომსა და მოსკოვშია, ახალ გარემოში ისვენებს და დამდეგი სეზონისთვის ემზადება.

გუშინ „სან ანტონიომ" და „ფილადელფიამ" პირველი მატჩებიც გამართეს. ამაზე კი ოდნავ დაწვრილებით:

ვილერბანი 90:115 სან ანტონიო

29:33 15:34 28:27 18:21

ვილერბანი: ბარეტი (22 ქულა), გრინი (17 ქულა)

სან ანტონიო: პარკერი (26 ქულა), დანკანი (19 ქულა), ბერი (12 ქულა), ჯინობილი (11 ქულა)

სან ანტონიომ ერთი კვირა ლიონთან ახლოს გაატარა და ამ პერიოდში ფრანგულ სამზარეულოსაც გაუთავისდა. საფრანგეთით განსაკუთრებით „სპურზის" მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი იყო აღფრთოვანებული. „სიმართლე გითხრათ, დიდებული დრო გავატარეთ, აქაური ღვინოები კი ფანტასტიკურია" — გაენდო ამერიკელებს პოპოვიჩი.

გუშინ „სან ანტონიო" ვილერბანში ჩავიდა და მასპინძლებს, რა თქმა უნდა, პირთამდე გავსებული ტრიბუნების წინ მასტერკლასი ჩაუტარა. ამერიკელი პროფესიონალები შესვენებაზე სოლიდური უპირატესობით გავიდნენ 67-44, მეორე ნახევარში კი თავის გემოზე იბურთავეს.

განსაკუთრებულად გამოიდო თავი სტუმართა ფრანგმა ტონი პარკერმა, რომელმაც საკუთარი მაყურებლის წინაშე დიდებულად ითამაშა და 26 ქულა მოიხვეჭა. თავი არც ტეხასელთა კაპიტანსა და ლიდერს ტიმ დანკანს შეურცხვენია — 19 ქულა.

„მინდოდა, გულშემატკივრებისთვის ლამაზი თამაში მეჩვენებინა და, მგონი, შევძელი კიდეც" — ეს თქვა ნამატჩევს პარკერმა.

„სან ანტონიო" შემდეგ შეხვედრას კვირას უკანასკნელი წლების ერთ-ერთ საუკეთესო ევროპულ გუნდ თელ ავივის „მაკაბისთან" გამართავს.

ბარსელონა 104:99 ფილადელფია

29:30 22:21 23:22 30:26

ბარსელონა: ნავარო (18), ლაკოვიჩი (17), ბაზილე (17)

ფილადელფია: დალემბერი (21), ვებერი (19), აივერსონი (13)

ეს შეხვედრები ამხანაგურია და სერიოზულ ბრძოლებს არავინ ელის, მაგრამ ევროპული გუნდის მიერ „ფილადელფიის" დამარცხება მაინც დიდი ამბავია.

1987 წლის შემდეგ, რაც ნბა-მ ასეთი შეხვედრების ჩატარება დაიწყო, მესამე შემთხვევაა როცა ამერიკული გუნდი აგებს. პირველად ეს 1988 წელს მოხდა — მაშინ „ატლანტა ჰოქსმა" მოსკოვში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან წააგო. მეორე შემთხვევა შარშან დაფიქსირდა, როცა „მაკაბიმ" კანადაში „ტორონტო რეპტორზს" მოუგო 105:103.

გუშინ „ფილადელფიის" თამაში ნამდვილად არ ჰგავდა პროფესიონალების ბურთაობას. „სიქსერსის" მოთამაშეებმა თავი განსაკუთრებით საჯარიმო სროლებისას „გამოიჩინეს" — 48-დან მხოლოდ 26 ჩააგდეს. „ბარსელონამ" კი ხუან კარლოს ნავაროს მეთაურობით გულიანად და რაც მთავარია, გუნდურად იბურთავა და ღირსეულადაც იმარჯვა. ფილადელფიელთა შორის ყველაზე აქტიური სემუელ დალემბერი აღმოჩნდა — „სიქსერსის" სუპერვარსკვლავი ალენ აივერსონი კი აშკარად ვერ იყო ხასიათზე.

„ბარსელონა ძალიან სტუმართმოყვარე გამოდგა, მაგრამ ამას გუნდზე ვერ ვიტყვი — იხუმრა ნამატჩევს „ფილადელფიის" მწვრთნელმა მორის ჩიქსმა — ისე, როცა 20-ზე მეტ საჯარიმო სროლას აცდენ და ამდენჯერვე ბურთს დაკარგავ, ყველაფრის ღირსი ხარ".

ძახა ლომაშვილი

რუსები ქართველებთან ქართველით მოდიან

ბადრი კეთილაძის ფოტო

ევროპის ჩემპიონმა კლუბმა, სანკტ პეტერბურგის „იავარა ნევამ“ საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში იმ ძიუდოისტთა სია გამოაგზავნა, თბილისში ტიტულის დაცვას რომ შეეცდებიან. 21 ოქტომბერს სპორტის სასახლეში ერთი ტატამი გაიშლება და საკლუბო ევროპირველობის ფინალური ეტაპიც გაჩაღდება. ჩემპიონობისთვის შარშან დაფუძნებული ქართული კლუბი„საგარეჯოც“ იბრძოლებს, რომელიც საერთაშორისო ფედერაციამ პირდაპირ ოთხთა ფინალში დაუშვა, როგორც ტურნირის მასპინძელი. დანარჩენი 3 ადგილისთვის ამ ზაფხულს შესარჩევი ეტაპი ჩატარდა და ყველაზე უკეთ „იავარა ნევა“, გერმანულ ქალაქ აბენსბერგის „აბენსბერგი“ და სტამბოლის „ისტამბული“ გამოვიდნენ.

კენჭისყრა ადრევე შედგა და ქართველებს მოქმედი ჩემპიონები ნახევარფინალში ერგოთ მეტოქედ. ამიტომაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესო რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის კლუბის შემადგენლობაა. ჩრდილოელთა ოცკაციან განაცხადს აქვე გთავაზობთ. ძიუდოში ოდნავ ჩახედული ქომაგებიც ადვილად მიხვდებიან, თუ რა დონის ვარსკვლავთკრებულთან მოუწევთ შოთა ხაბარელის შეგირდებს ჭიდილი.

„იავარა ნევას“ შვიდივე წონა დაბალანსებულია და პროგნოზის გაკეთებაც, თუ ვინაა ლიდერი, ერთიორი წონის გარდა ძალიან ძნელია. განსაკუთრებით ძლიერად 100 და +100 კილოგრამები გამოიყურება. რუსლან გასიმოვმა და ტამერლან ტმენოვმა თავიანთი შესაძლებლობები ბოლოს მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე დაამტკიცეს, როცა წაგებული შეხვედრები შემოატრიალეს და რუსეთის ნაკრები ფინალში გაიყვანეს. ჩვენებურებთანაც ორივემ იპონით მოიგო, მაგრამ ამ დროს საქართველოს უკვე მსოფლიოს ჩემპიონობა განაღდებული ჰქონდა.

რუსთა შემადგენლობაში ყაზახ, ბელარუს, აზერბაიჯანელ და უკრაინელ ტიტულებიან ლეგიონერებთან ერთად ახალგაზრდებს შორის ევროპის პრიზიორ ერეკლე კოპალიანსაც ამოიკითხავთ. ეს ოცი წლის ქართველი მოსკოვში გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩავიდა, ძიუდოისტადაც იქვე ჩამოყალიბდა და უკვე იქაური ახალგაზრდული ნაკრების წევრია. კოპალიანი შარშან თბილისის საერთაშორისო ტურნირზეც ჩამოვიდა და „საგარეჯოში“ გადმოსვლაზეც ჩამოუგდეს სიტყვა, მაგრამ ტრანსფერს „იავარა ნევამ“ შეუშალა ხელი.

რუსულ ოცკაცას „საგარეჯო“ თვრამეტკაცათი დაუხვდება. ქართული კლუბი, რა თქმა უნდა, ნაკრების ძიუდოისტებითაა დაკომპლექტებული და ხუთი ლეგიონერით გაძლიერებული. სომეხ ევროპის ჩემპიონ არმენ ნაზარიანს (60 კგ), ირანელ მსოფლიოს ჩემპიონ არაშ მირესმაილს (73 კგ), უკრაინელ ოლიმპიურ პრიზიორ რომან გონტიუკს (81 კგ), საბერძნეთის სახელით ოლიმპიური ოქროს მომგებ ჯარჯი ზიადაურს (90 კგ) და უზბეკ მსოფლიოს პრიზიორ აბდულო ტანგრიევს (+100 კგ) ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონი ჟოაო დერლი (66 კგ) და ებრაელი ევროპის ჩემპიონი არიელ ზეევიც (100 კგ) უნდა დამატებოდნენ, მაგრამ მათი ჩამოსვლა ტრავმების გამო გამოირიცხა. ამ ორ წონაში მხოლოდ ქართველები ეცდებიან ქულების აღებას.

მეორე ნახევარფინალური წყვილიდან მხოლოდ თურქებმა გამოაგზავნეს სათბილისო სია. გერმანელები კი ჯერ ფიქრობენ.

ოთარ გაღლაკელიძე

საგარეჯო	იავარა ნევა
60 კგ	60 კგ
ნესტორ ხერგიანი	ევგენი სტანევი
ვახტანგ ხოსიტაშვილი	სალმატ უტარბაევი
არმენ ნაზარიანი	სერგეი ნოვიკოვი
66 კგ	66 კგ
ზაზა კედელაშვილი	მაგომედ ჯაფაროვი
მინდია ხომიზური	ელჩინ ისმაილოვი
73 კგ	73 კგ
დავით ძევხიშვილი	ვიტალი მაკაროვი
არაშ მირესმაილი	გენადი ბილოდიდი
81 კგ	ანატოლი ლარიუკოვი
რომან გონტიუკი	81 კგ
გრიგოლ მამრიკიშვილი	სალამუ მეჯიდოვი
გრიგოლ შინჯიკაშვილი	სერგეი შუნჯიკაუ
90 კგ	ერეკლე კოპალიანი
ზურაბ ზვიადაური	90 კგ
ირაკლი ცირეკიძე	ხასანგი ტაოვი
ილიას ილიადისი	ივან პერშინი
100 კგ	ვიაჩესლავ გელოკი
გიორგი ყიზილაშვილი	100 კგ
ლომერ ჟორჟოლიანი	რუსლან გასიმოვი
+100 კგ	ასხატ ჟიტკიევი
ლაშა გუჯეჯიანი	იური სტეპკინი
ზვიად ხანჯალიაშვილი	+100 კგ
აბდულო ტანგრიევი	ტამერლან ტმენოვი
	ვლადიმერ ვლადიმიროვი
	მაძსიმ ბრიანოვი

ტოკიოში ტაკაოს დიდი გული აქვს

როჯერ ფედერერის ახალი რეკორდი

კაცები
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 765 000 $

მესამე წრე

მარიო ანჩიჩი (3, ხორვატია) — **რაინერ შუტლერი** (გერმანია) 6:2 4:6 6:4; **ტიმ ჰენმანი** (10, ბრიტანეთი) — **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგენტინა) 7:6 6:3

მეოთხედფინალი

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **ტაკაო სუძუკი** (იაპონია) 4:6 7:5 7:6; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (9, სამხრეთ კორეა) — **ტომი რობრედო** (2, ესპანეთი) 7:6 4:6 6:1; **ბენჯამინ ბეკერი** (14, გერმანია) — **იარკო ნიემინენი** (5, ფინეთი) 6:7 7:6 6:4

კაცები
მეცი. საფრანგეთი
ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 380 000 $

მეორე წრე

სებასტიან გროუანი (საფრანგეთი) — **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) 7:5 6:1; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — **რიშარ გასკე** (5, საფრანგეთი) 6:7 7:6 7:5; **ტობიას კლემენსი** (გერმანია) — **სირილ სოლნიე** (საფრანგეთი) 7:6 6:7 7:6; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — **მარატ საფინი** (რუსეთი) 4:6 6:2 7:6

მეოთხედფინალი

მარკ გიკუელი (საფრანგეთი) — **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) 6:4 7:5

ქალები
შტუტგარტი. გერმანია
ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 650 000 $

მეორე წრე

პატი შნიდერი (5, შვეიცარია) — **შაჰარ პირი** (ისრაელი) 7:6 2:6 6:4; **ნადია პეტროვა** (4, რუსეთი) — **ანა-ლენა გრონეფელდი** (გერმანია) 6:3 6:4; **ელენა იანკოვიჩი** (8, სერბეთი) — **ცვეტანა პირონკოვა** (ბულგარეთი) 4:6 6:2 7:5;

მეოთხედფინალი

ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) — **მიქაელა კრიაჩეკი** (ჰოლანდია) 6:1 6:2

ქალები
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 175 000 $

მეოთხედფინალი

მარიონ ბარტოლი (1, საფრანგეთი) — **იუნრი ნამიგატა** (იაპონია) 6:2 6:1; **კამილ პინი** (საფრანგეთი) — **იულია ფედოსოვა** (საფრანგეთი) 5:7 6:4 6:1; **აიკო ნაკამურა** (იაპონია) — **ჯამეა ჯექსონი** (აშშ) 6:1 1:6 7:6; **იუნგ-იან ჩანი** (ტაივანი) — **აი სუგიამა** (2, იაპონია) 6:3 6:4

ქალები
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 145 000 $

მეოთხედფინალი

ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) — **მარია ელენა კამერინი** (1, იტალია) 6:0 6:1; **ტიან ტიან სუნი** (ჩინეთი) — **ანასტასია როდიონოვა** (8, რუსეთი) 6:1 6:3, **იროდა ტულიაგანოვა** (უზბეკეთი) — **ტამარინ ტანასუგარნი** (ტაილანდი) 6:4 6:1; **ოლგა პუჩკოვა** (6, რუსეთი) — **სანია მირზა** (3, ინდოეთი) 6:4 4:6 6:0

ტაკაო სუძუკიმ კვირის კი არა, კინაღამ სეზონის სენსაცია გამოაცხო, როცა როჯერ ფედერერთან შეხვედრისას არც ისე ბევრი დააკლდა თანამედროვე ჩოგბურთის პირველკაცის დასამარცხებლად. არადა, ამ კაცს ერთი წელიწადი ტრავმის გამო რომ გაუცდა, ჯერ კიდევ გუშინ ვიუწყებოდით. ადგილობრივთა კერპმა ხანგრძლივი უქმობის შემდეგ კორტზე დაბრუნება ისედაც რამდენიმე მოულოდნელობით აღნიშნა, თუმც ვინ იფიქრებდა, რომ ფედერერთან რამე გამოუვიდოდა.

სუძუკი სამი სეტი თანაბრად ეომა შვეიცარიელ გენიოსს და მთელი რიგ მომენტებში აჯობა კიდეც. სენსაციის სუნი თავიდანვე დატრიალდა, როცა პირველი სეტის შუაწლეზე გაკეთებული ბრეიკი აზიელმა ბოლომდე შეინარჩუნა და დაწინაურდა კიდეც. მეორე პარტიაშიც თანაბარი ორთაბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ სეტის მიწურულს ფედერერმა კლასის ხარჯზე მაინც დაჯაბნა მეტოქე და ანგარიში გაათანაბრა.

თითქოს ამით ყველაფერი უნდა დასრულებულიყო და მესამე სეტს „მხიარული როჯერის“ როკვით უნდა ჩაევლო — ალპელს სამ სეტი თანაბრად სუძუკი კი არა, იშვიათად, რომ ვინმე ეომოს, მაგრამ იაპონელი აქაც არ შედრკა, გვარიანად იბრძოლა და მხოლოდ ტაიბრეიკზე გატყდა.

ისე, ფედერერმა უკვე მეორე არცთუ შთამბეჭდავი შეხვედრა ჩაატარა ტოკიოში, რაც მის სათამაშო ფორმასთან დაკავშირებით გარკვეულ კითხვებს აჩენს. თუმც „მხიარულმა როჯერმა“ ერთი რეკორდი მაინც დაამყარა — სუძუკის დამარცხებითა და ტოკიოს ნახევარფინალში გასვლით შვეიცარიელმა 22 სარეიტინგო ქულა გაინაღდა, რის შემდეგაც მილიონობაში მისმა წლევანდელმა მონაგარმა 1346 ქულა შეადგინა. მოგეხსენებათ, ფედერერმა შარშანდელი სეზონი სარეკორდო, 1345 ქულით ჩაამთავრა. ახლა ამ შედეგს უკვე გადააჭარბა და მიმდინარე სეზონის დასრულებამდე კი ჯერ თვენახევარია დარჩენილი.

ტაკაო სუძუკი

აზიელებმა ერთხელ მაინც მაგრად გაიხარეს — სუძუკის საქმე კორეელმა ჰიუნგ-ტაიკ ლიმ გააკეთა და ტომი რობრედოს დამარცხებით გემრიელი სენსაციაც გამოაცხო.

მეცში ფავორიტთა გვემა გრძელდება. აქამდე ადგილობრივ განთესილებს მაინც ინდობდნენ, მაგრამ გუშინ ეს ტრადიციაც დაირღვა, როცა რიშარ გასკე არნო კლემანმა დასცა. მეცის დარბაზს მარატ საფინიც გამოეთხოვა, რომელიც სტაბილურად ვერა და ვერ ათამაშდა.

შტუტგარტში ბლომად იწვალეს პატი შნიდერმა და ელენა იანკოვიჩმა, მაგრამ მეოთხდფინალში გასვლა მაინც შეძლეს. აი, ტატიანა გოლოვინი კი უკვე ნახევარფინალშია — ფრანგი უპრობლემოდ გაუსწორდა ამელი მორესმოს ტრავმით ხეირის მპოვნელ მიქაელა კრაიჩეკს.

ტაშკენტში მეოთხდფინალებში განთესილებს დაერივნენ — ოთხივე დამარცხებული ფავორიტთა შორის მოიხსენიებოდა. ერთადერთი განთესილი კი, ვინაც ნახევარფინალს უწია, ოლგა პუჩკოვაა, მაგრამ გუშინ მასაც სხვა ფავორიტი, მესამე ნომერი სანია მირზა შემოეჩოგნა.

კახა ლომაურვილი

მაგიური D ბარეტის სახელში
ვალუევის სტილი მისი ზომა-ფონაა

კვირას, გამთენიისას ჩიკაგოში WBA-ს ვერსით ჩემპიონი ნიკოლაი ვალუევი მონტე ბარეტთან შეხვედრაში ტიტულის დაცვას შეეცდება. რუსი „ურჩხული“ პირველად გავა ამერიკულ რინგზე და იქაური მაყურებლის წინაშეც პირველად წარდგება. იანკები არც ამ ბრძოლისგან ელიან რაიმე სასიკეთოს.

ისიც სათქმელია, რომ ვალუევის მეტოქედ ბარეტის შერჩევა ძალიან მოულოდნელი იყო. 35 წლის ამერიკელმა, რომელიც ორივე ხელით ძლიერ დარტყმას ფლობს (ამისთვის ორლულიანიც შეარქვეს), თავისი ბოლო შეხვედრა ჰასიმ რაჰმანთან წააგო. ამის გამო, წესით და რიგით, მას რომელიმე ტიტულისთვის საბრძოლველად კიდევ რამდენიმე ბრძოლა უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ პრეტენდენტის სტატუსით კი მოგვევლინა.

ამაში უდიდესი წვლილი გაიძვერა და პროფესიული კრივის სამყაროში უცნობილესმა პრომოუტერმა დონ კინგმა შეიტანა. საქმე იმაშია, რომ ბარეტიც მისი კაცია — ასე რომ, თუ საოცრება მოხდა და ვალუევმა წააგო, კინგი მაინც მოგებული დარჩება.

თვითონ ბარეტი კი დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში და დღე არ გავა, რომ არ დაიქადნოს:

„ბევრი რამ ფსიქოლოგიაზე იქნება დამოკიდებული, მე კი ჩემს ძალაში დარწმუნებული ვარ. ამ ბრძოლისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადებოდი — 100 სპარინგ-მატჩი ჩავატარე და 120 მილზე მეტი გავირბინე. ასე რომ, ფიზიკურადაც მაგრად ვარ მომზადებული. ამტანობას მართლა დიდი მნიშვნელობა ექნება და ნახავთ, რომ მეექვსე რაუნდის მერე ჩემი უპირატესობა აშკარა გახდება. თან მისი ბრძოლის სტილიც შესწავლილი მაქვს“.

მაგრამ ძალიან საეჭვოა, ამერიკელს რაიმე გამოუვიდეს. ბარეტი აშკარად თავს იტყუებს, რუსის ჩხუბის სტილი ვიციო, რადგან ვალუევს არანაირი სტილი არ აქვს და ყველა ბრძოლა მხოლოდ გოლიათური აღნაგობის წყალობით მოიგო. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ფიზიკური მონაცემების სხვაობა აქაც გადამწყვეტი ფაქტორი იქნება. თავად განსაჯეთ, ვალუევი მეტოქეზე 48 კილოგრამით მძიმე და 22 სანტიმეტრით მაღალია. ფაქტობრივად, ბარეტს ხტუნვა მოუწევს, ვალუევს დასარტყმელად რომ შესწვდეს.

თუმც ამერიკელი თავისას მაინც არ იშლის:

„მე მონტე დ. ბარეტი მქვია. ამას ნუ დაივიწყებენ. არავისთვის მითქვამს ჩემს სახელში ეს დ. რას ნიშნავს. მაშ, იცოდეთ — ეს დავითს ნიშნავს, დავითი კი გაანადგურებს გოლიათს“.

ნეტარ არიან მორწმუნენი მისტერ მონტე დ. ბარეტ.

ბახა ლომაშვილი

ავტორბოლა

XVII ეტაპი იაპონიის დიდი პრიზი

სუძუკა

სუძუკა, 8 ოქტომბერი



ტრასის სიგრძე ------------------------------------ 5.807 კმ

რბოლის დისტანცია -------------------- 53 წრე — 307.573 კმ

რბოლა დაიწყება თბილისის დროით 9.00 საათზე

შარშანდელი: 1 რაიკონენი (მაკლარენი); 2 ფიზიკელა (რენო); 3 ალონსო (რენო); 4 ვებერი (უილიამსი); 5 ბატონი (BAR); 6 კულჰარდი (რედ ბული); 7 მ.შუმახერი (ფერარი); 8 რ.შუმახერი (ტოიოტა)

წრის რეკორდი: 2005 — რაიკონენი (მაკლარენი) 1:31.540 (228,4კმ/სთ)

ნერვების ომი

ხვალ სუძუკას ავტოდრომი, სადაც არაერთხელ გარკვეულა „სამეფო რბოლების“ გვირგვინოსნის ვინაობა, მეოცედ და იქნებ უკანასკნელად უმასპინძლებს მეფორმულეებს.

ყოველ შემთხვევაში, უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ 2007 წელს იაპონიის დიდი პრიზი ფუძიამას მთის ძირას მოწყობილ ტრასაზე გათამაშდება. თუმც „ჰონდას“ ხელმძღვანელობა, ვისი საკუთრებაცაა „სუძუკა“, იმედოვნებს, რომ თანამემამულე კონკურენტებთან შეთანხმდებიან და ამომავალი მზის ქვეყნის საპირველფორმულო ეტაპი ამ ორ ტრეკზე მონაცვლეობით ჩატარდება.

„სუძუკა“ წლეულს ყველაზე გრძელი და ერთ-ერთი უსწრაფესი ტრასაა. პილოტთა უმეტესობას გამორჩეულად მოსწონს კუნძულ ჰონსიუზე გაყვანილი ჩახვეული, უნიკალურ ხიდიანი ტრეკი და მის გაუქმებას ნაღვლობენ.

აღსანიშნავია, რომ 2000 წელსაც იაპონური ეტაპი ბოლოსწინა იყო კალენდარში და სწორედ იქ გაინაღდა მიხაელ შუმახერმა „ფერარის“ სახელით პირველი საჩემპიონო ტიტული.

მოსალოდნელია, ხვალაც ასე მოხდეს, ანუ შუმახერმა ვადამდე მოიპოვოს მერვე და უკანასკნელი ტიტული. ეს კი იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ „წითელი ბარონი“ რბოლას მოიგებს, ხოლო მისი ერთადერთი მოქიშპე ფერნანდო ალონსო უქულოდ დარჩება.

იაპონური სტატისტიკა შუმის ზურგს უმაგრებს: იქ 15-ჯერ გაჯირითებიდან მიხაელმა რვაჯერ მოიგო კვალიფიკაცია, ექვსჯერ პირველი იყო რბოლაში და 81 ქულა დააგროვა. ალონსოს კი ოთხ გამოსვლაში ერთადერთი პოდიუმი და ოდენ 10 ქულა აქვს.

შუმახერის გარდა, დღევანდელებიდან იაპონიაში თითოჯერ გაუმარჯვიათ რუბენს ბარიკელოს და კიმი რაიკონენს.

ხვალინდელი ბრძოლის წინ მიხაელი მშვიდადაა, ხოლო „რენოში“ შიდააშლილობის გამო ფერნანდო აშკარად ნერვიულობს. ერთი კვირის წინ ჩინეთში შუმახერთან დამარცხებას ალონსო საკუთარი თავის გარდა ყველას აბრალებს — „რენოს“ ბოსობასაც და იტალიელ თანაგუნდელ ჯანკარლო ფიზიკელასაც — როცა რბოლის დასაწყისში მე ვლიდერობდი და საბურავების პრობლემა გამიჩნდა, ფიზიკოს არ უნდა გაესწრო, ფელიპე მასა ამგვარ სიტუაციაში მიხაელს არ გაასწრებდაო — დარწმუნებულია ნანდო.

ამ განცხადებას ფიზიკელას საპასუხო რეაქცია მოჰყვა: „არ ვიცი, რატომ გააკეთა ფერნანდომ ასეთი განცხადება. მე პირადად ჩემთვის ვიბრძვი და არა მისთვის. თუ არის საშუალება, ფერნანდოს დავეხმარო, ვეხმარები, მაგრამ არ ვაპირებ გავაჩერო მანქანა ტრასაზე იმიტომ, რომ იგი წინ გავუშვა. მთავარი ისაა, რომ ორივენი „რენოსთვის“ ვმუშაობთ — საერთო წარმატებისთვის და საამისოდ ყველაფერი უნდა გავიღოთ.“

ერთი სიტყვით, აღდგომა და ხვალეო, ყველაფერი „სუძუკაზე“ გაირკვევა.

გუშინ თავისუფალი ვარჯიშისას საუკეთესო დრო ფიზიკელამ აჩვენა. მას უმცირესად ჩამორჩნენ ფერარელები ფელიპე და მიხაელი, ალონსომ კი თანაგუნდელთან ნახევარი წამი წააგო.

გია ახალაძე

პარასკევს ყველაზე სწრაფი ჯანკარლო ფიზიკელას „რენო“ იყო

AFP

ფეხბურთი

ინგლისი

პირველი ლიგა. XIII ტური

ბორნმუთი 0:0 ნორთჰემპტონი
დონკასტერი 1:1 ოლდემი
სუონსი 0:0 ტრანმერი
იოვილი 0:1 ჩელტენემი

მეორე ლიგა. XIII ტური

დარლინგტონი 0:5 როჩდეილი
ჩესტერი 0:0 უოლსოლი
ლინკოლნი 2:0 ჰარტლპული
დონსი 0:2 პიტერბრო
შრიუსბერი 2:1 მაკლსფილდი
უიკომბი 2:0 ტორკი

კონფერენსლიგა. XIV ტური

ფორესტ გრინი 1:5 ოქსფორდი
რაშდენი 2:2 სტივენეიჯი
უოქინგი 0:0 ბარტონი
იორკი 1:0 ალდერშოტი

იაპონია

ჯეი ლიგა. XXVI ტური

კიოტო 1:1 ომია

ჰოლანდია

მეორე დივიზიონი X ტური

კამბური 2:1 სიტარდი
გრააფსხაპი 3:1 დენ ბოსხი
ემენი 0:1 ტელსტარი
ვოლენდამი 0:0 ალმერე
იგლსი 2:0 ეინდჰოვენი
ჰაარლემი 1:1 დორდრეხტი
ჰელმონდი 1:1 ზვოლე
მაასტრიხტი 3:1 ვეენდამი
როზენდალი 3:1 ვენლო
ოსი 5:2 აპელდორნი

ირლანდია

პრემიერლიგა XXV ტური

კორკი 1:1 ლონგფორდი
დერი 1:1 ბოჰემიანსი
სენტ პატრიკსი 3:0 დროჰედა
დუბლინი 4:0 ბრეი
უოტერფორდი 0:1 შელბურნი

ამხანაგური მატჩები

ლიხტენშტაინი 1:2 ავსტრია
იორდანია 0:0 ირანი

ევროპის 2007 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. (U-21)

პლეი ოფი. პირველი მატჩები

სერბეთი 0:3 შვედეთი
რუსეთი 4:1 პორტუგალია
ჩეხეთი 2:1 ბოსნია
ინგლისი 1:0 გერმანია
იტალია 0:0 ესპანეთი

ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

5 ოქტომბერი

პიტსბურგი 4:0 ფილადელფია
2:0 2:0 0:0
ატლანტა 2:3 ტამპა
2:0 0:1 0:1 0:0 (0:1 ბულიტები)
დეტროიტი 1:3 ვანკუვერი
0:1 1:2 0:0
რეინჯერსი 5:2 ვაშინგტონი
1:0 2:1 2:1
ოტავა 0:6 ტორონტო
0:2 0:3 0:1
ნეშვილი 6:8 ჩიკაგო
2:3 2:1 2:4
მინესოტა 3:2 კოლორადო
1:0 1:1 0:1 1:0 (ოვერტაიმი)
ედმონტონი 3:1 კალგარი
2:0 0:0 1:1
ფინიქსი 6:3 აილენდერსი
2:1 4:0 0:2
სან ხოსე 5:4 სენტ ლუისი
1:2 2:1 1:1 1:0 (ოვერტაიმი)

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ
ᲢᲣᲠᲘᲜᲘ. ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. 30 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ – 8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲓᲐᲠᲢᲐᲜᲘᲐᲜᲝᲑᲔᲜ

ᲤᲠᲐᲜᲒᲗᲐ ᲜᲐᲯᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲖᲔᲛᲝᲑᲡ

ᲫᲕᲔᲚᲘ მუშკეტერები არ გადაშენებულან. ფრანგული დაშნა კვლავაც ყველაზე ბასრია და ეს ტურინში მიმდინარე მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზეც დამტკიცდა, სადაც დარტანიანის შთამომავლებმა კაცთა დაშნაში გუნდური პირველობა მოიგეს და შარშან მოპოვებული ტიტული შეინარჩუნეს.

სიმართლე უნდა ითქვას და ფრანგებს ძალიან გაუჭირდათ. მეოთხეფინალში მათ მხოლოდ ერთი ჩხვლეტით — 45:44 აჯობეს პოლონელებს და მართალია, მერე ნახევარფინალში იოლად დაამარცხეს ძველისძველი მეტოქე უნგრეთი, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში, ესპანელთა წინააღმდეგ, ყველაფერი კვლავ ერთმა ჩხვლეტამ გადაწყვიტა.

არადა, ფრანგები მუდმივად წინ იყვნენ, თუმც ესპანელებმა ბოლომდე იბრძოლეს, ანგარიში გაათანაბრეს და მოსაგებადაც გაიწიეს, მაგრამ ბოლო ჩხვლეტა მაინც ფრანგებისა იყო.

ბრინჯაოს მედლები კი უკრაინელებმა მოიპოვეს, რომლებმაც მეოთხედფინალში რუსები დაჯაბნეს, ნახევარფინალში დიდი ბრძოლის შემდეგ 44:45 წაგეს ესპანელებთან და მესამე ადგილისთვის შეხვედრაში კი უპრობლემოდ — 45:38 მოუგეს უნგრელებს.

უაღრესად დაძაბულად წარიმართა რაპირისტ ქალთა გუნდური ტურნირის ფინალური ორთაბრძოლაც. რუსებისა და იტალიელების დუელი ფრედ — 22:22 დასრულდა და შეხვედრა პირველ ჩხვლეტამდე გაგრძელდა. ამ, ერთგვარ ოვერტაიმში ბედმა რუსებს გაუღიმა და ოქროს მედლები მათ დარჩათ. იტალია მეორეზე გავიდა, ხოლო მესამე ადგილისთვის ბრძოლაში სამხრეთ კორეელებმა 43:28 დაჩაგრეს პოლონელები.

რაპირა. ქალები. გუნდური
1. რუსები
2. იტალია
3. სამხრეთ კორეა

დაშნა. კაცები. გუნდური
1. საფრანგეთი
2. ესპანეთი
3. უკრაინა

ᲘᲐᲜᲘᲪᲐ ᲙᲝᲡᲢᲔᲚᲘᲩᲘ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ) ᲓᲐ ᲐᲜᲘᲐ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲘ

ᲘᲐᲜᲘᲪᲐᲡ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲛᲐ ᲣᲦᲐᲚᲐᲢᲐ

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲜᲘ მოხდა — მსოფლიოს უძლიერესი სამთო მოთხილამურე ქალი, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიოს თასის მფლობელი იანიცა კოსტელიჩი დამდეგ, 2006-07 წლების სეზონს ტრავმის გამო გამოტოვებს.

ზაგრებში გამართულ პრესკონფერენციაზე 24 წლის ხორვატმა განაცხადა, რომ მუხლებისა და ზურგის ქრონიკული ტრავმების გამო ერთწლიანი შესვენება ექნება. „მუხლებსა და ზურგში ტკივილები, უკვე შემაწუხებელი გახდა და ამ ფონზე თხილამურებით სრიალი შეუძლებელია — ბრძანა კოსტელიჩმა და დაამატა — ამ სეზონს გამოვტოვებ, ხოლო რა იქნება მომავალში, ამას წინასწარ ვერ ვიტყვი“.

კოსტელიჩი არ იქნება და მსოფლიო თასის ეტაპებზე და თებერვალში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე თოვლი და თხილამურები შვედ ანია პერსონს დარჩება. ბოლო წლებში, სწორედ ეს ორი მოთხილამურე ეცილებოდა ერმანეთს პირველობას და ხორვატი შვედს მცირედით, მაგრამ მაინც სჯაბნიდა. ახლა კი პერსონს კონკურენტი აღარ ჰყავს, თანაც მსოფლიოს ჩემპიონატი შვედეთში ჩატარდება და ანია, სავარაუდოდ, მედლების უხვ მოსავალს მოიმკის.

ᲣᲚᲠᲘᲮᲘ ᲛᲐᲙᲣᲔᲘᲓᲛᲐᲪ ᲣᲐᲠᲧᲝ

ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ დღის წინათ შვეიცარიის ველოსპორტის ფედერაციამ გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ შვეიცარიელები მზად არიან, პროფესიონალური ლიცენზია გასცენ გერმანელ მრბოლ იან ულრიხზე, რადგანაც მისი დოპინგ-ბრალეულობა არ დამტკიცებულა. ამავდროულად, იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა განაცხადა, რომ წყვეტს ივან ბასოს მიმართ აღძრულ საქმეს და მიიჩნევს, რომ იტალიელი ველოსიპედისტი არანაირად არ არის გარეული დოპინგსკანდალში.

ყოველივე ამან აღაშფოთა UCI-ს (ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირი) პრეზიდენტი პეტ მაკკუეიდი, რომელმაც გერმანული „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბრძანა, რომ ყველა ღონეს იხმარს, რათა ის სპორტსმენები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან Operaion Puerto-ს სახელით ცნობილ სადოპინგო სკანდალთან და რომელთა გვარებიც თითქოსდა მოხსენიებულია ყბადაღებული ესპანელი ექიმის, ფუენტესის სიებში, აღარასოდეს გამოვიდნენ ტრასაზე.

მაკკუეიდი განსაკუთრებული აგრესიულობით ულრიხის მიმართ არის განწყობილი და ამბობს, რომ თუ შვეიცარიელები მაინც მისცემენ ულრიხს ლიცენზიას, მაშინ ის საარბიტრაჟო სასამართლოშიც იჩივლებს და ყველაფერს გააკეთებს, რათა „ტურ დე ფრანსის“ 1997 წლის ტრიუმფატორი, ორგზის ოლიმპიური და სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი პრო-ტურის სერიის რბოლებში არ დაუშვან.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელი „ტურის“ დაწყების წინა დღეს ულრიხი და ბასო, რომლებიც რბოლის უმთავრეს ფავორიტებად მიიჩნეოდნენ, თავიანთი გუნდების, შესაბამისად, გერმანული T-მობაილისა და დანიური CSC-ს მიერ მოხსნილნი იქნენ რბოლიდან, რადგანაც მათმა გვარებმა ფუენტესის საქმესთან დაკავშირებით გაიჟღერა.

ᲘᲐᲜ ᲣᲚᲠᲘᲮᲡ ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲖᲔ ᲯᲓᲝᲛᲐᲡ ᲣᲙᲠᲐᲫᲐᲚᲐᲕᲔᲜ

მიუხედავადა იმისა, რომ არც ერთისა და არც მეორის ბრალეულობა ოფიციალურად არ დამტკიცებულა, T-მობაილმა ულრიხი მაინც დაითხოვა გუნდიდან, ხოლო ბასოსა და CSC-ს ურთიერთობა ჯერ არ გარკვეულა — როგორც დანიური გუნდის შეფი, „ტურის“ 1996 წლის ჩემპიონი ბაირნე რიისი ამბობს, თუ ბასო თავის უდანაშაულობას დაამტკიცებს, მაშინ მისი ორწლიანი კონტრაქტი კვლავაც ძალაში იქნება.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ
ᲡᲐᲜᲢᲝ ᲓᲝᲛᲘᲜᲒᲝ. ᲓᲝᲛᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
30 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ – 7 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲝᲡᲢᲡᲐᲑ᭭ᲭᲝᲣᲠᲘ ᲙᲕᲐᲠᲪᲮᲚᲑᲔᲙᲘ

ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲡ, 69 კილოგრამამდე წონაში განცდილი მარცხის გამო ჩინელმა ქალებმა უმალ აუღეს რევანში რუსებს — სანტო დომინგოში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე 75 კილოგრამიან დიაცთა შორის ცაო ლეიმ მძაფრ ბრძოლაში ერთი კილოგრამით აჯობა ნადეჟდა ევსტიუხინას.

ატაცში რუსმა მთელი ოთხი კილოგრამით აჯობა ჩინელს, რომელიც, ამავდროულად, უფრო მძიმეც იყო, მაგრამ მეორე მოძრაობაში ცაო ლეიმ 150 კგ. აჰკრა, რუსზე ზუსტად 5 კილოგრამით მეტი და ორჭიდის ჯამში მეტოქეს ერთი კილოგრამით აჯობა.

რუსები ვერცხლს დასჯერდნენ 85 კილოგრამიან კაცთა შეჯიბრშიც. ამ წონაში, რომელშიც ორიოდე წლის წინათ გიორგი ასანიძე იყო საუკეთესო, მთელი კვარცხლბეკი ყოფილი საბჭოეთის წარმომადგენლებმა დაიპყრეს. პირველობა ბელარუსმა ანდრეი რიბაკოვმა მოიპოვა, რომელმაც უკვე ატაცში 8 კილოგრამით ჩამოიტოვა უკან რუსი ასლანბეკ ედიევი და სომეხი ტიგრან მარტიროსიანი და აკვრაში უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა.

რიბაკოვმა ატაცში თავისივე მსოფლიოს რეკორდის (186 კგ) გაუმჯობესებაც მოინდომა და ორჯერ შეუტია კიდეც სარეკორდო შტანგას, მაგრამ ამაოდ, თუმცა ამის გამო დიდად უკმაყოფილო არ დარჩენილა.

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ
75 ᲙᲒ.

1. ცაო ლეი (ჩინეთი)	268 კგ (118+150)
2. ნადეჟდა ევსტიუხინა (რუსეთი)	267 კგ (122+145)
3. ზარემა კასაევა (რუსეთი)	246 კგ (110+136)

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ
85 ᲙᲒ

1. ანდრეი რიბაკოვი (ბელარუსი)	383 კგ (180+203)
2. ასლანბეკ ედიევი (რუსეთი)	373 კგ (172+201)
3. ტიგრან მარტიროსიანი (სომხეთი)	370 კგ (172+198)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ზაზა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00